

№5
1998

975
1998

# ბურჯი ეროვნებისა

ბესარიონ
ჯორბენაძის
საზოგადოების
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

პასუხისმგებელი მდივანი
კახა გაბუნია

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კიკონიშვილი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი ავალიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
მარინე ბერიძე,
გენადი ბურჭულაძე,
ლეილა გეგუჩაძე,
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქირია,
მიხეილ ქურდიანი,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მორიგე რედაქტორი
მარინე კიკონიშვილი

„ბურჯი ეროვნებისა"
რეგისტრირებულია საქართველოს
იუსტიციის სამინისტროში, 1686.
მისამართი:
პ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

**14 მაისი (ძვ.სტ. 1 მაისი) - ხსენება წმ. კეთილმორწმუნისა დიდისა მეფისა ქართველთა თამარისა (1213)**

## თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

...შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედკრულს
შენს სატრფოს - მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა!
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავაც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა!...

გრიგოლ ორბელიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

BURJI EROVNEBISA

№5

1998



*უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.*

**იაკობი**

გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

## შინაარსი

**ქართული უნივერსიტეტი – 80** ........ 2

**ნომრის სტუმარი**
სახელმწიფო ენას – სახელმწიფოებრივი ზრუნვა
(საუბარი ბ-ნ ლ. ღვინჯილიასთან) ........ 3

**პრობლემა**
გ. გოგოლაშვილი – წინასაგამოცდო წაქეზებანი,
ანუ რა შუაშია „მესამე საკითხი?“ ........ 5

**სკოლა – ჩვენი სატკივარი**
მ. კარტოზია – მოგვეცით მართალი სკოლა ........ 7

**უკვდავება ღვაწლისა**
შ. შათირიშვილი – კიტა ჩხენკელი – ქართული ენისა და
ლიტერატურის დიდი მოამაგე ........ 7

**აბიტურიენტის ფურცელი**
თ. შარაბიძე – ალ. ჭავჭავაძის პოეზია ........ 9

**თ. სახოკია – 130**
ზ. ჭუმბურიძე – უხინარი გაკვეთილები ........ 11
ნ. საყვარელიძე – დიდი ადამიანური სკოლა ........ 11

**ბესარიონ ჟორჟენაძის ხსოვნას** ........ 12

**თვალსაზრისი**
მ. ღლონტი – სულხან-საბას ერთი არაკის საიდუმლო ........ 14

**არდავიწყება მოყვრისა**
გ. თოფურია – ადიღეელი ხალხის ღირსეული შვილი ........ 15

**მარი ბროსეს გახსენება**
გ. ჭელიძე – ნახეს უცხო... ........ 16

**ახალგაზრდა მეცნიერის გვერდი**
ზ. ცოტნიაშვილი – ზოგიერთი მხატვრული სახე
თანამედროვე ქართულ ნოველაში ........ 19

**საყმაწვილო გვერდი**
ი. დემეტრაძე – ზოგი რამ დამწერლობის შესახებ ........ 19

**მცირე რეცენზია**
ნ. ჭუმბურიძე – „დედაენა“ ეკრანზე ........ 21
მაიკლ ბერმანი – დიდი სიყვარულის ნაყოფი ........ 21

**სამეცნიერო კონტაქტები**
ქართველოლოგთა სიმპოზიუმი შვედეთში ........ 22

**სამეცნიერო ინფორმაცია** ........ 23

**ლექსი და ისტორია**
ნ. ბართაია – „ისე თეთრი ხარ ქალაო“ ........ 24

**მოსნრებული სიტყვა** ........ 24

გარეკანის პირველ გვერდზე – ბეთანიის მონასტერი
გარეკანის მეორე გვერდზე – თამარის ფრესკა ბეთანიის მონასტერში

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა



1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს), დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა თბილისის უნივერსიტეტი.

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილის წინადადებით ეწოდა ქართული უნივერსიტეტი.**

* * *

ქართული უნივერსიტეტის 80 წლისთავი აღინიშნა საქართველოს სხვადასხვა ქალაქსა და უმაღლეს სასწავლებელში.

> ქართული უნივერსიტეტის დაარსებამ, ეროვნული თვითშეგნების აღორძინებამ, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებამ ახალი თვალსაწიერი გადაუშალა ქართულ სალიტერატურო ენას.
>
> ბ. ჯორბენაძე

**გახსნისას** ქართულ უნივერსიტეტში ირიცხებოდა 369 სტუდენტი და 89 თავისუფალი მსმენელი. უნივერსიტეტს ჰყავდა 7 პროფესორი, 5 პროფესორის მოადგილე, 2 მეცნიერ-ხელმძღვანელი და 3 ლექტორი.

რექტორად აირჩიეს პეტრე მელიქიშვილი. ერთადერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანად - ივანე ჯავახიშვილი. სწავლულ მდივნად - იოსებ ყიფშიძე.

**21 მაისს** უნივერსიტეტის I კორპუსში საზეიმოდ გაიხსნა ივანე ჯავახიშვილის კაბინეტი.

**22-24 მაისს** გაიმართა მეორე საერთაშორისო კავკასიოლოგიური სამეცნიერო კონფერენცია თემაზე **„მშვიდობიანი კავკასია“**. კონფერენციასა და საიუბილეო ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად უცხოეთის მრავალი ქვეყნის წარმომადგენელი ეწვია ქართულ უნივერსიტეტს.



* * *

**დღეს** ქართულ უნივერსიტეტში 20 ფაკულტეტია, 5 ფილიალი (ახალციხის, სოხუმის, სიღნაღის, ზუგდიდისა და ოზურგეთის), 2 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1 სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტი, 57 სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, 5 სასწავლო ბაზა (საქართველოს სხვადასხვა რეგიონში), ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-ინტერნატი, საუნივერსიტეტო სკოლა, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, 7 მუზეუმი, გამომცემლობა, სტამბა, ხელოვნებისა და კულტურის ცენტრი და სხვა. ამჟამად უნივერსიტეტში 30000-ზე მეტი სტუდენტია, 500-ზე მეტი - ასპირანტი, 5000-ზე მეტი- პროფესორ-მასწავლებელი.

**25 მაისს** ქართული უნივერსიტეტის საქტო დარბაზში გაიმართა დასკვნითი საიუბილეო-საზეიმო სხდომა. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა **ედუარდ შევარდნაძემ**.

ნომრის სტუმარია ლევან ღვინჯილია – ენათმეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის თავმჯდომარე, საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისიის წევრი. ბატონ ლევანს ესაუბრება ჟურნალის მთავარი რედაქტორი.

# სახელმწიფო ენას – სახელმწიფოებრივი ზრუნვა

**გ.გ. – ბატონო ლევან, ენის ინტერესთა დამცველი სახელმწიფო სტრუქტურათა ასეთ სიმრავლეს ალბათ ბევრი ქვეყანა ვერ დაიჩემებს: მეორე წელია არსებობს საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა, რომლის თავმჯდომარეც თქვენ ბრძანდებით; უფრო ადრე შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის თავმჯდომარე საქართველოს პრეზიდენტია; პარლამენტში არსებობს ქართული ენის ქვეკომიტეტი (თავმჯდომარე ქ-ნი მანანა გიგინეიშვილი). რა ურთიერთობაა მათ შორის?**

**ლ.ღ.** – საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია არის სამართალმემკვიდრე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისიისა, რომელსაც რამდენიმე ათეული წლის ისტორია აქვს. ეს კომისია არსებობდა მინისტრთა საბჭოსთან; მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო ამ კომისიის თავმჯდომარე. ამჟამად ეს კომისია არსებობს პრეზიდენტთან და, როგორც აღინიშნა, საქართველოს პრეზიდენტი არის მისი თავმჯდომარე. კომისიის დანიშნულება განისაზღვრება მისი დებულებით. გარდა იმ ფუნქციისა, რაც მას ადრე ჰქონდა (ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დადგენა), კომისიის უფლებამოსილებაა ტერმინოლოგიური საქმიანობის კოორდინირებისათვის საჭირო დირექტიული მითითებების გამოცემა; და საერთოდ, ენობრივი პოლიტიკის წარმართვისათვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება პრეზიდენტის დონეზე.

**გ.გ. – მახსოვს, ადრე ივარაუდებოდა, რომ ამ კომისიას კონტროლი უნდა გაეწია ქართული სალიტერატურო ენის ფუნქციონირების საკითხისათვის...**

**ლ.ღ.** – ასეთი საკითხიც იდგა. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის, რომ ეს კომისია არის ერთგვარი კონსილიუმი; ის დაკომპლექტებულია სპეციალისტების გარდა სახელმწიფო მოღვაწეებისაგან, მთავრობის წევრებისაგან და იკრიბება პერიოდულად (დებულების მიხედვით, თვეში ერთხელ, მაგრამ პრაქტიკულად – წელიწადში ერთხელ ან, უკეთეს შემთხვევაში – ორჯერ); ბუნებრივია, ამ შემადგენლობის კომისია ამ სახით ყოველდღიურ ზედამხედველობას ვერ დააწესებდა სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე.

**გ.გ. – და, როგორც ჩანს, ამან გამოიწვია საჭიროება ენის სახელმწიფო პალატის შექმნისა.**

**ლ.ღ.** – დიახ. ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა შექმნილიყო ასეთი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც თავის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს სწორედ ამ მიმართულებით.

**გ.გ. – ჩვენს სინამდვილეში მსგავსი რამ არ ყოფილა, მაგრამ სხვა ქვეყნებში თუ არსებობს ამგვარი სამსახური; რა გამოცდილებაა ამ მხრივ სხვა ქვეყნებში?**

**ლ.ღ.** – მსგავსი სამსახური უცხოეთის მრავალ ქვეყანაში არსებობს და მას სხვადასხვა სახელი ჰქვია. ზოგან ეს სამსახური განათლების სამინისტროს სისტემაშია; ზოგან – მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში; ზოგან დამოუკიდებლად არსებობს, როგორც კომისია, დეპარტამენტი... ჩვენშიაც იყო აზრი, რომ ასეთი სამსახური შექმნილიყო განათლების სისტემაში დეპარტამენტის სახით...

**გ.გ. – მაგრამ ეს გარკვეულწილად ამ სამსახურის ფუნქციონირების სფეროს შეზღუდავდა... რადგან სიტყვამ მოიტანა, რა არის ძირითადი ფუნქცია თქვენი სამსახურისა?**

**ლ.ღ.** – საკითხი ასე დგას: სახელმწიფოს პოლიტიკას ზოგადი თვალსაზრისით წარმართავს ქვეყნის პრეზიდენტი; ენის ნაწილში ქვეყნის ენობრივ პოლიტიკას, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის პოლიტიკის შესაბამისად, წარმართავს სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ჩამოყალიბდა ენის სახელმწიფო პალატის სახით.

**გ.გ. – ამგვარ სამსახურს სხვა ქვეყნებში სხვა სახელი ჰქვია; აქაც იყო აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე; რას იტყოდით თქვენი სამსახურის სახელწოდებაზე.**

**ლ.ღ.** – დიახ, იყო შენიშვნა, რატომ საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა და არა სახელმწიფო ენის სახელმწიფო პალატა. სახელმწიფო ენის პალატა, ბუნებრივია, გულისხმობს ქართული ენის პალატას. როცა ვსაუბრობთ ენის სახელმწიფო პალატაზე, აქ მისი საქმიანობის სფეროში შედის არა მხოლოდ ქართული, არამედ ის ენებიც, რომლებიცაა წარმოდგენილი საქართველოში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პალატამ უნდა განახორციელოს ენობრივი პოლიტიკა და ამასთან დაკავშირებით იცავს იმ ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ ინტერესებს, რაც იქნება კანონით გათვალისწინებული. ბუნებრივია, ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულების დასახელება იწყება ქვეყნის დასახელებით და ამიტომ სახელწოდებაში სიტყვა საქართველოს განსაზღვრავს ენის პალატას და არა მხოლოდ ენას.

**გ.გ. – ე.ი. ესაა ენის პალატა საქართველოსი... ბატონო ლევან, ჩვენ კომისიაზე ვსაუბრობდით და იქნებ აქვე განმარტოთ, კომისიის დადგენილებებში მიღებულ ნორმებს რა იურიდიული ძალა აქვს; როგორია თქვენი პასუხისმგებლობა მათ შესრულებაზე?**

**ლ.ღ.** – სამართლებრივი თვალსაზრისით ამ კომისიის დადგენილებებს ის ძალა აქვს, რა ძალაც შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილ აქტს, თუ არ არსებობს სხვა საკანონმდებლო აქტი.

**გ.გ.– მე რა მაინტერესებს: კომისიამ მიიღო ნორმა სალიტერატურო ენის კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით; ამ ნორმას აქვს თუ არა კანონის ძალა; მის დარღვევაზე პასუხისმგებლობის საკითხი დგას თუ არა?**

**ლ.ღ.** – სამწუხაროდ, იურიდიული თვალსაზრისით

# ნომრის სტუმარი

მას კანონის ძალა არა აქვს: ამ ნორმის დარღვევისათვის რომ ვინმეს უჩივლოთ სასამართლოში, პროცესს ვერ მოიგებთ.

**გ.გ. – მაშ, რისთვის გვჭირდება ისეთი ნორმა, რომელიც არ იქნება სავალდებულო შესასრულებლად და რომლის შეუსრულებლობის უფლება ექნება ნებისმიერს?**

**ლ.დ.** – ეს არის პროფესიონალთა, ექსპერტთა გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების დამკვიდრებისათვის არის საჭირო ორგანული კანონი. თუ ენის კანონში იქნება ასახული (და, ვფიქრობ, რომ უნდა იყოს), რომ ამ კომისიის მიერ მიღებული სალიტერატურო ენის ნორმების გამოყენება ენის მოხმარების ამა და ამ სფეროში არის აუცილებელი, მაშინ მისი არგამოყენება იქნება სამართალდარღვევის ფაქტი. ამიტომ არის აუცილებელი, რომ არსებობდეს კანონი ენის შესახებ.

**გ.გ. – როგორ უნდა შეიქმნას, ვინ უნდა შეიმუშაოს ეს კანონი?**

**ლ.დ.** – მოგეხსენებათ, საკანონმდებლო ორგანო არის პარლამენტი და მისი ნებისმიერი სტრუქტურა, უპირველეს ყოვლისა, მოწოდებულია კანონშემოქმედებითი საქმიანობისათვის. პარლამენტში არის სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, სათავეში უდგას ქ-ნი მანანა გოგიჩაიშვილი. ეს ქვეკომიტეტი არის შემადგენელი ნაწილი საპროცედურო საკითხთა კომიტეტისა (თავმჯდომარე პარლამენტარი რისტომ დოლიძე).

**გ.გ. – სახელმწიფო ენის ქვეკომიტეტი მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტში არ უნდა შედიოდეს?**

**ლ.დ.** – რამდენადაც ასეა ჩემი აზრით, უპირველესი დანიშნულება ამგვარი სტრუქტურული ერთეულისა უნდა იყოს კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ანუ ხელშეწყობა ენის სფეროში სახელმწიფო ენის დამკვიდრებისა და მისი სტატუსის განმტკიცებისა შესაბამისი კანონების შექმნით.

**გ.გ. – ბატონო ლევან, თქვენ გახსოვთ ალბათ, პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე ბატონმა კოტე გაბაშვილმა ბრძანა, რომ არ არის საჭირო კანონი ენის შესახებ. რას ბრძანებდით ამის თაობაზე?**

**ლ.დ.** – პირველ ყოვლისა, მინდა პრინციპულად განსხვავებული თვალსაზრისი გაგიზიაროთ: საქართველოში ენის კანონი არის აუცილებელი. როდესაც საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში ბატონი კოტე გაბაშვილი ბრძანებს, რომ ჩვენში არ არის საჭირო ასეთი კანონი, მას შესაბამისი მაგალითები მოჰყავს ამის საბუთად. მაგრამ უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება ამის საპირისპიროდ. არის მრავალი ქვეყანა, სადაც სანიმუშო დონეზეა აყვანილი კანონშემოქმედების სფერო ენის საკითხში.

**გ.გ. – თუნდაც ფრანგული მაგალითი. ჩვენ ამის თაობაზე ვწერდით კიდეც ჟურნალის წინა ნომრებში.**

**ლ.დ.** – საფრანგეთზე რომ არაფერი ვთქვათ, ძალიან მნიშვნელოვანი აქტები აქვთ გამოცემული ამ თვალსაზრისით ბალტიისპირეთის სამივე რესპუბლიკას. არა მხოლოდ ზოგადი კანონი ენის შესახებ, არამედ იქ კანონებითაა განსაზღვრული უცხოელ მოქალაქეთა დამოკიდებულება სახელმწიფო ენისადმი. ვთქვათ, რა დონის მოხელეს რა ცოდნა მოეთხოვება სახელმწიფო ენისა; მათ მიერ ქვეყანაში თანამდებობის დაკავებისას აუცილებელია გამოცდის ჩაბარება სახელმწიფო ენაში. ამისთვის საკანონმდებლო აქტებია შექმნილი: როგორ უნდა ჩატარდეს გამოცდა, ვინ უნდა ჩაიბაროს ეს გამოცდა, რა დოკუმენტი უნდა მიეცეს მას და ა.შ. ცალკე მსჯელობის საგანი შეიძლება ეს სფერო იყოს. ძალიან კარგი კანონი აქვს ენის შესახებ გამოცემული აზერბაიჯანს. მე არაერთგზის მითქვამს და გავიმეორებ: ვნატრობ, საქართველომ ამ დონის კანონი გამოსცეს, როგორც აზერბაიჯანს აქვს გამოცემული. ელჩიბეის პრეზიდენტობის დროს არის ეს კანონი მიღებული და მოქმედებს დღესაც. არავის არ გაუუქმებია. ამგვარი კანონები არის შექმნილი კანადაში, საბერძნეთში, ესპანეთში, იტალიაში. ენობრივი ურთიერთობები კანონების დონეზეა მოგვარებული შვეციაში, შვეიცარიაში, ერთი სიტყვით, ბევრ ქვეყანაში ამის პრაქტიკა არსებობს. შეიძლება მსგავსი აქტები არ გამოუცია კანონმდებლობის დონეზე ამერიკას, რომელსაც ჩვენ ხშირად ვბაძავთ ხოლმე რაღაც-რაღაცეებში, მაგრამ, ჩვენ უნდა ამოვიდეთ ჩვენი სპეციფიური მდგომარეობიდან: რა გვჭირდება ჩვენ და არა ის, რა სჭირდება და რა ხდება ამერიკაში.

**გ.გ. – ცხადია, ამერიკის მაგალითი ან რომელიმე დიდი ქვეყნის მაგალითი ჩვენ არ გამოგვადგება, იმიტომ რომ ჩვენ მცირერიცხოვანი ერი ვართ. მოგეხსენებათ, მცირერიცხოვან ერთა ენობრივი პრობლემები გაცილებით უფრო მძიმეა და რთული, ვიდრე დიდი ერებისა...**

**ლ.დ.** – თუ გნებავთ დიდ ერებზეც მოგახსენებთ: განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ენობრივი საკითხებისადმი ირანს. თუმცა, ამის პასუხად მეუბნებიან, რომ ირანი პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით ისეთი ქვეყანაა, რომელიც ამერიკას არ ცნობს. იქ გართულებებია და ირანი ამას საგანგებოდ აკეთებს. როცა ვამბობთ, რომ ასეთი უდევს საკითხს საბერძნეთი, ამბობენ, რომ საბერძნეთი არ არის მთლად ხელსაყრელი მაგალითი. არ ვიცი, რატომ. როცა ვამბობთ, რომ საფრანგეთს აქვს ამგვარი დამოკიდებულება ენის მიმართ, ოპონენტი ამბობს, რომ საფრანგეთი უფრო კონსერვატული ქვეყანაა და მისი მაგალითი არ გამოდგება; კანადის მაგალითს როცა მოვიყვანთ, იქ კვებეკის სეპარატიზმზე საუბრობს ოპონენტი...

**გ.გ. – ერთი სიტყვით, ოპონენტი ყოველთვის მოძებნის მიზეზს, რომ ჩვენში არ შეიქმნას კანონი ენის შესახებ, არ გვქონდეს ეს კანონი...**

**ლ.დ.** – არადა, ყველაზე მეტად ჩვენ გვჭირდება ეს კანონი, იმიტომ, რომ საქართველოში ძალიან მძიმე სურათია შექმნილი ე.წ. ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. რამდენადაც დღეს საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილს ველაპარაკებით უცხო ქვეყნის ენაზე.

**გ.გ. – არც სახელმწიფო ენაზე და არც მათ მშობლიურ ენაზე**

**ლ.დ.** – დიახ, რუსულად. მე ხშირად მიწევს კონტაქტები ქვემო ქართლის რაიონებთან და როცა დავურეკავ ჩვეულებრივ, რუსულად მპასუხებენ. ქართული არ ვიციო, ან ძალზედ უჭირთ.

*ჩვენი საუბარი აქ არ დამთავრებულა, დიდხანს გაგრძელდა. ჟურნალის ამ ნომერში აქ შევწყვიტეთ დიალოგს ამ საინტერესო საკითხზე. ჩვენი საუბრის გაგრძელებას მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.*

გიორგი გოგოლაშვილი

# წინასაგამოცდო წაქეზებანი, ანუ რა შუაშია „მესამე საკითხი“?

ახლახან ყოველკვარტალურ სამეცნიერო-მეთოდიკურ ჟურნალში „ქართული ლიტერატურა“ (№1. 1998 წ. გამომცემელი შპს „სკოლა“, მთ. რედაქტორი კახა ჯამბურია) გამოქვეყნდა მასალები დისკუსიისა „თხზულება სასკოლო განათლებაში და მისი მნიშვნელობა“. დისკუსიის მონაწილენი არიან ქალბატონი ლაურა გრიგოლაშვილი, ბატონები რევაზ სირაძე, გრიგერ ფარულავა, ვახტანგ როდონაია, გია მურღულია და ჟურნალის მთავარი რედაქტორი თავისთავად. თემა აქტუალურია და ამგვარ საკითხებზე გამართულმა დისკუსიამ მხოლოდ სიკეთე შეიძლება მოუტანოს სკოლას, თუ მიზანი, მართლაც, სკოლის პრობლემებზე ფიქრი იქნება.

მაგრამ პუბლიკაციის პირველივე ფრაზებიდან ჩანს, რომ დისკუსიის მთავარი მიზანია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო წლებში ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამართული წერითი გამოცდების კრიტიკა, დასაბუთება იმისა, თუ რამდენად „მიზანშეწონილია თხზულების ერთგვარი „გაძევება“ მისაღები გამოცდების პრაქტიკიდან და მის მაგივრად წერითი გამოცდის ბილეთების ჩატარება“.

საქმეში ჩახედულმა პირებმა იციან, რომ ბილეთების მეთოდით (და არა ტესტებით, როგორც ამას ხშირად იმეორებენ დისკუსიის მონაწილენი) თსუ-ში წერითი გამოცდა პირველად 1991 წელს ჩატარდა. ამგვარად გაიმართა გამოცდები ბოლო სამი წლის მანძილზეც (1995-1997 წწ.). 1991 წლის შემდეგ ამ თემაზე საჯარო მსჯელობა არ ყოფილა (მანამდე მწვავე დისკუსია იყო), ასე რომ, 1998 წლამდე თითქოსდა ყველაფერი რიგზე იყო. ახლა ირკვევა, რომ ასე არაა. თურმე „ბილეთებით ჩატარების ფორმა გაუმართლებელია... ახალგაზრდას ე.წ. „ახალი მოდელი“ (...) მწყობრ და გამართულ ლიტერატურულ აზროვნებას გადააჩვევს...“ (ვ. როდონაია). „გამოცდას ქართულ წერაში ბილეთის თუ რაიმე ტესტის მაგვარი იერი მისცეს: ნაგლეჯი ტექსტისა, ნაგლეჯი გარჩევისა, გრამატიკული სავარჯიშო... ყველაზე უფრო ცხადია, რომ ახალი მოდელის უბადრუკობა ლიტერატურისადმი არალიტერატურული მიდგომის, არაპროფესიონალიზმის რეციდივია“ (გ. ფარულავა). „მე კატეგორიულად არ ვემხრობი წერითი გამოცდის ჩატარების ამ წესს“ (ლ. გრიგოლაშვილი).

განაჩენი ნათელია... რა ხდება? ბოლო წლებში თუ ქვეყანა იქცეოდა, აქამდე ხმა რატომ არ ამოიღეს?

ამთავითვე მინდა ვთქვა, რატომ გადავწყვიტე ამ თემაზე წერილის დაწერა. დისკუსიის მონაწილეთათვის (და საერთოდ ამ საკითხში ჩახედულ პირთათვის) ცნობილია, რომ, საუბედუროდ, დისკუსიაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს ამ მოდელის შემოღების ინიციატორი. უპირველესად, ეს ფაქტი მავალებს, ვთქვა ის, რასაც ვფიქრობ და კიდევ ის, რის გამოც თავის დროზე საჯაროდ დავუჭირე მხარი ამ მოდელს და ვმონაწილეობდი ამგვარად ჩატარებულ გამოცდებში.

ისე კი, თუ საგანი იყო ეს საკითხი, კარგი, დისკუსია 1997 წლის სექტემბრამდე გამართულიყო... თუმცა, ეს საკითხის ერთი მხარეა.

მე არ ვაპირებ არსებული მოდელის დასაცავად არგუმენტების მოხმობას. ეს თავის დროზე (1990-1991 წწ) ძალიან ნათლად და გარკვევით ითქვა და ამ ახალ პუბლიკაციაში არც ცდილან ამ არგუმენტების გაბათილებას.

ჩემთვის მიუღებელია ამ პუბლიკაციის პათოსი, მსჯელობის ლოგიკა და მიზანი. ამიტომ რამდენიმე კითხვას დავსვამ და ზოგ მათგანზე პასუხის გაცემასაც შევეცდები.

როცა ვაცხადებთ, თხზულების წინააღმდეგ „ლაშქრობა“ გამოცხადდაო, უპირველესად, უნდა განვმარტოთ, რა არის „თხზულება“. ლექსიკონებიდან მოხმობილი განმარტება ამ შემთხვევაში არ გამოგვადგება. არის თუ არა „თხზულება“ ტოლფასი გავრცელებული ტერმინებისა „გარჩევა“, „განხილვა“, „იდეურ-მხატვრული ანალიზი“ და სხვა. შეიძლება თუ არა „თხზულებად“ ჩაითვალოს ერთი ლექსის ანალიზი (ვთქვათ, „განთიადისა“, „მერანისა“ ან თუნდაც „მე და ღამისა“, რაც ამავე ჟურნალშია გამოქვეყნებული)? როგორ განისაზღვრება წერითი ნამუშევრის მოცულობა? პერსონაჟის დახასიათება არის თუ არა „თხზულება“? მოკლედ.

დებულების მიცემა აუცილებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ დისკუსიის მონაწილენი ცდილობენ დაამტკიცონ, ბოლო წლების საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მიერ მოტანილი სათაურები არის „ნაგლეჯი გარჩევისა“ (გ. ფარულავა); „ლიტერატურული ნაწარმოების დაქუცმაცება“ (ვ. როდონაია)... მაგრამ, იქნებ, ამ კითხვაზეც ვუპასუხოთ: რატომ არის „ნაგლეჯი გარჩევისა“, ვთქვათ, **„მიჯნურობის არსი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მიხედვით“; ანდა „ავთანდილი, როგორც მეგობარი, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით“; თუნდაც „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ლიტერატურული მნიშვნელობა“** და სხვა.

და რატომ არის „თხზულება“ დისკუსიის მონაწილის ბატონი გ. ფარულავას მიერ 1992 წ (როცა იგი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე იყო) აბიტურიენტებისთვის საწერად მიცემული თემები: **„ავთანდილისა და თინათინის სიყვარული (ლოცვა შეილთა მნათობთადმი)“; ანდა „ერთგული სინამდვილის ანარეკლი „ვეფხისტყაოსანში“ (თინათინის გამეფების სცენა)“; ან „ქალთა სახეები „ქამუშაძის გაჭირვებაში“ (ელონისე სონიას უყვება თავისი ოჯახის ამბავს)“, თუ „სოლომონ მორბელაძე არსებობისთვის იბრძვის („სოლომონი გულამღვრეული მიაჩაჩაქებდა ჯორს“...)“.**

გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ფრჩხილებში მოცემულ დაზუსტებებს!

შეიძლებოდა სხვა „თხზულებებიც“ გაგვეხსენებინა ბ-ნი გ. ფარულავას მიერ საგამოცდოდ მიცემული:

**„ლუარსაბ თათქარიძე (შვილის მომლოდინე ლუარსაბი და დარეჯანი ქილვობდნენ)“.**

**„აკაკის პატრიოტული ლირიკის მშვენიერება“**

**„არსაკიძე – ხელოვანი და პიროვნება (პაემანი, როცა დიდოსტატს ერთი განცდა ტანჯავს: „სასწორზე ორი უძვირფასესი ქმნილება დაჰკიდეს“)“;**

**„როგორ ყალიბდება აკაკის სულიერი სამყარო (დედასთან ურთიერთობის ეპიზოდები – „ჩემი თავგადასავალი“)“...**

აღარ გავაგრძელებთ ჩამოთვლას. მხოლოდ მკითხველს შევახსენებთ ამ სათაურთა ავტორის მიერ დისკუსიის დროს გამოთქმულ აზრს: „ახალი მოდელი ვერ ითვალისწინებს ერთ ფუნდამენტურ ჭეშმარიტებასაც: მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურა ორგანული მთლიანობაა... რიგიანი იდეურ-მხატვრული ანალიზი ყოველთვის სრულად მოიცავს თხზულებას... მხატვრული მთელის ისე დანაწევრება, როგორც ამას ახალი მოდელის მიმდევრები აკეთებენ, ყოვლად გაუმართლებელია“. ეს აზრი დავიხსომოთ.

ზემოჩამოთვლილი სათაურთა გააზრება (განსაკუთრებით ფრჩხილებში მითითებულ დაზუსტებათა!) კიდევ უფრო გაუგებარს ხდის ავტორის (გ. ფარულავას) მსჯელობას: „არ შეიძლება აბიტურიენტს მოვთხოვოთ ნაწარმოების ყველა თავის შინაარსისა და ანალიზის კარგი ცოდნა“. იმისათვის, რომ სუბიექტური (ე.ი. არაობიექტური) მიზეზების გამო, ჩვენთვის მიუღებელი მოდელის შესახებ მკითხველს უარყოფითი შეხედულება შევუქმნათ, შეიძლება ასეთი მსჯელობა და დაპირისპირება საკუთარ თავთან?!

როგორც ვთქვით, დისკუსიის უმთავრესი მიზანი თავიდანვე გამოიკვეთა – უარყოფა თსუ-ში დამკვიდრებული საგამოცდო მოდელისა. და მკითხველი რომ აუმხედრონ ამ მოდელს, რომ მოიმხრონ, სამწუხაროდ, ფაქტების გაყალბებაც ხდება... ასე ვთქვათ, ვატყუებთ მკითხველს:

ვ. როდონაია: **„ერთი ბილეთი ამგვარი იყო: 1. „ავთანდილის დახასიათება“ (...), 2. „სული ობოლის“ გარჩევა და**

**3. ტექსტის გასწორება".** არ არის მართალი: ორი ასეთი საკითხი (გ.წ. გარჩევა) ერთ ბილეთში არ შეიძლებოდა ყოფილიყო და არც ყოფილა. მეორეც: ბოლო ორი წლის მანძილზე (მე, ეს მონაცემები მაქვს ხელთ) არც ცალ-ცალკე ყოფილა „ავთანდილის დახასიათება" ან „სულეთ ობოლის" გარჩევა.

ლ. გრიგოლაშვილი: **„ბილეთის მესამე საკითხად ბავშვებს მისცეს გასასწორებლად დიალექტოლოგიური ლექსიკონებიდან ამოღებული მასალა".** რას ნიშნავს „დიალექტოლოგიური ლექსიკონებიდან ამოღებული მასალა"? რისთვის ვაბნევთ მკითხველს?

რ. სირაძე: „ვთქვათ, რომელიმე თვისება აკლია ამ ბავშვს მაგალითად, **ვერ ასწორებს სხვათა სიტყვის ნაწილაკებს..."**

რას ნიშნავს სხვათა სიტყვის ნაწილაკების გასწორება? ასეთი რამ ვინ მოითხოვა და როდის?

ლ. გრიგოლაშვილი: **„რომაქის სახელი თუ არ ახსოვს, ლამის კატასტროფაა!" – „ვთქვათ, ბავშვს ახსოვს, რომ ლეკებმა დაატყვევეს გურამიშვილი და წაიყვანეს თავის სოფელში, მაგრამ არ ახსოვს ამ სოფლის სახელი – ოსოქოლო, უნდა დააკლდეს ნიშანი?"**

რატომ ამახინჯებთ? ამგვარი „შეცდომისათვის" ნიშანი ვის დააკლდა? განა ახალი მოდელი ამას მოითხოვს?

ვ. როდონაია: **„ახლა ვიკითხოთ: რას ნიშნავს შეცდომებიანი ტექსტის გასწორება? ჯერ გარეგნულად როგორი სანახავია ასეთი ნამუშევარი?! შეცდომებს აბიტურიენტი ასწორებს ან ვერ ასწორებს, შემდგომ კი ყოველივე ამას გამსწორებელი ასწორებს".** ისევ სიტუაციის გაზიარება საკითხის ისე წარმოდგენა, თითქოს აბიტურიენტი ფერადი ფანქრით ასწორებს მცდარ ფორმებს და შემდეგ სხვა ფერის ფანქრით – გამომცდელი. დისკუსიის მართლა რომ ამის საფუძველს მაძლევდეს, ვიფიქრებდი, ხუმრობს-მეთქი. მაგრამ არაა ასე. მკითხველზე შთაბეჭდილების მოსახდენად ვამახინჯებთ ფაქტს როგორ, ენის სახელმძღვანელოებში მსგავსი სავარჯიშოები არ გვინახავს, მოსწავლეს მცდარი ფორმების სწორად გადაწერა რომ ევალება? აქვე ასეა, მაგრამ სწორი ფაქტების მიწოდება ეფექტს ვერ მოახდენს მკითხველზე.

მსჯელობენ მისაღებ გამოცდებზე და აბიტურიენტის ცოდნის შეფასებაზე ასეთ აზრებს გვთავაზობენ: **„საგამოცდო პროგრამაში შეტანილი დიდტანიანი რომანის ზოგიერთი ეპიზოდის უცოდინარობის გამო ახალგაზრდას საყვედური იქნებ არც ეთქმოდეს" (ვ. როდონაია).** მაშ, უცოდინარობის გამო მადლობა უნდა ვუთხრათ? რატომ შეგვაქვს პროგრამებში, თუ სავალდებულო არ იქნება მათი ცოდნა? ახლა, რას ნიშნავს მსჯელობა: **„ბოლოს და ბოლოს, მას** (აბიტურიენტს – გ.გ.) **უფლება აქვს „პრინციპულადაც" კი არ ახსოვდეს მისთვის მიუღებელი რამ".** აქ საპროგრამო ნაწარმოებზეა საუბარი! უფრო მეტიც, იქვე გამომცდელის დანაშაულად ეცხადება საპროგრამო ნაწარმოების ცოდნის მოთხოვნას: **„ჩვენ კი მტკიცედ დადგენილი განსაზღვრული რომელი პრინციპით ვსარგებლობთ, როცა მას წერის დროს ყველაფრის ცოდნას ვუკანონებთ"?.** თუ „ყველაფერი" საპროგრამო მასალას გულისხმობს, მსჯელობა აშკარად გაუგებარია: ახლა: **„წერითი გამოცდის დროს ახალგაზრდას აქვს უფლება, რომელიმე ეპიზოდი (ან ეპიზოდები) არც ახსოვდეს (!). ლიტერატურულად გაწაფულმა ნიჭიერმა ყმაწვილმა კაცმა შეიძლება თავისი ცოდნის ასეთი ხარვეზიც კი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს".** მაგრამ ასწავლონ ნიჭიერ ყმაწვილს, არცოდნაში როგორ მიიღოს სასურველი ნიშანი... ერთი აზრიც მოვიყვანოთ: **„მეტიც, არსებობს არცოდნის რაღაც თავისებური" ხიბლი"** (!). როგორ უნდა შევესწრო ეს **„არცოდნის თავისებური ხიბლი"**? სათი როგორი ... არის მიმართული ეს მსჯელობა? დაარწმუნებს ... მკითხველს ეს ბილეთების გამოცდის უაზრობაში? მეეჭვება. ერთი კი ... ხელი შეიძლება მისაღები გამოცდების შედეგებით უკმაყოფილო აბიტურიენტი განათლების სამინისტროს ამ ჟურნალით ხელში მოადგეს ... და ამ „დოკუმენტის" წყალობით თავისი არცოდნისათვის მაღალი ნიშანი მოითხოვოს... ახლა, როცა უკვე გამოცხადებულია, თუ როგორი უნდა ჩატარდეს მისაღები გამოცდები ...-ში, ამგვარ პუბლიკაციას მხოლოდ ეს მიზანი შეიძლება ჰქონდეს: ყოველი აბიტურიენტები და მისი ქომაგები აუმხედრონ არსებულ მოდელს.

მიდით, ახლა საკითხს ასეც შევხედოთ: თუ დისკუსიის მიზანი იყო მსჯელობა თხზულების თობაზე სასკოლო განათლებაში, შეიძლება ესაუბრათ ბილეთის I-II საკითხის აქტუალობაზე, მაგრამ რა შუაში იყო ამ შემთხვევაში III საკითხი, „შეცდომებიანი ტექსტის გასწორება" (როგორც ისინი მოიხსენიებენ)? თუ დისკუსიის თემაა „თხზულება სასკოლო განათლებაში", თსუ-ში აბიტურიენტს წერითი გამოცდაზე „შეცდომებიან ტექსტს" გაასწორებინებენ თუ არა, რა კავშირშია სკოლაში თხზულების დამუშავებასთან? და თუ კავშირშია, მაშინ უნდა განემარტათ, მისაღებ გამოცდაზე ამგვარი დავალების მიცემა რითი ან როგორ უშლის ხელს სკოლაში თხზულების წერას! დისკუსია აცდა თემას, თუ უბრალოდ სხვა სათაურით შევნიღბეთ მთავარი მიზანი?

მესამე საკითხის მიმართ ასეთი აგრესიული დამოკიდებულება ქართული ენის, როგორც საგნის, წინააღმდეგ გალაშქრებას უფრო ჰგავს: საგანგებოდ გართულებული და არასწორი ინფორმაციის მიზანიც ის ხომ, უარყოფითად განაწყოს მკითხველი სწორედ ამ საგნის მიმართ. თუ ასე არაა, მაშინ უნდა განემარტათ, ქართული ლიტერატურის ინტერესები რატომ ილახება საგამოცდო ბილეთში ქართული საკითხის შეტანით? თუ ასე არ ფიქრობენ, მაშინ ამდენ ხანს რატომ უთმობენ მესამე საკითხზე საუბარს, როცა დისკუსიის თემაა „თხზულება სასკოლო განათლებაში"? ხომ არ არის ეს (მე კი ვფიქრობ, რომ ასეა) გაგრძელება იმ ავადხსენებული დისკუსიისა, 1990-1991 წლებში რომ გაიმართა და იმას არკვევდა, ვის მეტის პრიორიტეტი მისაღებ გამოცდებზე, ენის სპეციალისტს თუ ლიტერატურისას?

ქართული ენისადმი ასეთი დამოკიდებულების შედეგია ის, რომ ჩვენს სკოლაში ქართული ენა გერად იქცა. საგამოცდო ბილეთების მესამე საკითხის განქიქება ხომ არ ჯობდა, სკოლაში ქართული ენის მდგომარეობაზე ვეფიქრა და ვემსჯელა განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტს? ვის აძლევს ხელს ასეთი დაპირისპირება ენისა და ლიტერატურისა?.. ის არ იყო საკმარისი, მტრისაგან რომ გვიხდებოდა ქართული ენის დაცვა და ახლა მოყვრისა უნდა გვეშინოდეს?.. ამ გზასაცდენილმა დისკუსიამ ასეთი მწარე კითხვებიც გაგვიჩინა...

დისკუსიის მასალების გაცნობა მკითხველს იმ შთაბეჭდილებას შეუქმნის, რომ ეს საგამოცდო მოდელი არაპროფესიონალების, დილეტანტების საქმეა: ჩაუხედავი ხალხის მოგონილია, რატომ ვფიქრობთ და ვამტკიცებთ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთა თითქმის ორწლიანი დისკუსიის შემდეგ საკითხი განიხილა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდსაბჭომ და ამ მოდელს რეკომენდაცია გაუწია ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე. სწორედ ამ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება მისაღები გამოცდების ასეთი სახით ჩატარების თობაზე. ეს გადაწყვეტილება კი დაამტკიცა თსუ ცენტრალურმა მიმღებმა კომისიამ. ასე რომ, ის **„რექტორი (პროფესიული ინტერესებით ლიტერატურისაგან მეტად დაშორებული)"** სწორედ ამ გადაწყვეტილებას იცავდა და არა საკუთარ ახირებულ აზრს... აქედან გამომდინარე, თავს უხერხულ მდგომარეობაში იგდებს ბ-ნი გ. ფერაძე, როცა ასეთ დასკვნას აკეთებს:

**„ყველაფრისგან ცხადია, რომ ახალი მოდელის უბადრუკობა ლიტერატურისადმი არალიტერატურული მიდგომის, არაპროფესიონალიზმის რეცილივია".** ამის თქმა იმ საბჭოს მიმართ, ვინც ამ მოდელით გამოცდების ჩატარების გადაწყვეტილება მიიღო, ცოტა არ იყოს, ზედმეტი „სითამამეა"... მე აღარ გავაგრძელებ და მას და დისკუსიის სხვა მონაწილეებს აღარ შევახსენებ ამ საბჭოს შემადგენლობას.

ახალი მოდელის სიძულვილმა და ქართული ენისადმი არაპროფესიულმა დამოკიდებულებამ დისკუსიის მონაწილეებს დაავიწყა, რომ სკოლაზე უნდა ესაუბრათ... იქნებ იმაზე გვეფიქრა, ვინ ასწავლის დღეს სკოლაში და როგორ: რამდენი მოსწავლე იქნება ჩვენს სკოლაში (ვთქვათ IX კლასში), ვინც დისკუსიის მონაწილეთა მიერ სანიმუშოდ დასახელებული „თხზულების" – **„ადამიანის იდეალი ძველ ქართულ მწერლობაში"** – დაწერას შეძლებდა... და კიდევ როცა სკოლაზე ვფიქრობთ, იქნებ პრაქტიკოსი მასწავლებლებისთვისაც მოგვესმინა, მათი აზრიც გაგვეგო... იქნება, ვიქნე კიდევაც ხვდით, „სკოლა" სათაურისთვის დასჭირდათ, დისკუსიის მიზანი და სათაური შორიშორისაა...

**გამოგრძელდა საუბარი, დამეთანხმებით, არ მიცდია იმის მტკიცება, რაც უკვე დამტკიცებულია... მინდოდა მხოლოდ ყურადღება გამემახვილებინა იმ რამდენიმე უხერხულ მომენტზე, რაც ჩემი აზრით, ახლავს ამ დისკუსიას... და კიდევ სენსაციებისა და ჭორების მოყვარულთათვის მინდოდა მეთქვა, რომ დისკუსიის მასალებში მოყვანილი ყველა ფაქტი არ არის ზუსტი, ამიტომ, თუ სურთ ამ საგამოცდო მოდელის შესახებ მართალი ინფორმაცია, სხვა წყარო ეძებონ.**

სკოლა - ჩვენი სატკივარი

# მოგვეცით მართალი სკოლა!...

ჩვენი ქვეყნის მომავალი დიდად არის დამოკიდებული მოზარდი თაობის, მოსწავლე-ახალგაზრდობის სწორ აღზრდაზე, ჯეროვან სწავლაზე, მათ განათლებაზე, ვინაიდან მხოლოდ განათლებულ ერს შეუძლია თავისი ადგილი დაიმკვიდროს 21-ე საუკუნეში და მხარი აუბას, ან აცდეს ის პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ სოციალურ ძვრებს, რაც მომავალში განვითარებულ ქვეყნებს დაეწევს და დაეკავშირება. მართალს ბრძანებდა ილია ჭავჭავაძე: „სწავლა-განათლება საჭიროა ქვეყნისათვის" (ი. ჭავჭავაძე თხზ. ტ. IV, გვ 356), რადგანაც მას „ქვეყანაში ჯერ მეტი" („ივერია" №30, 1897, გვ. 1).

დიდ ილიას მტკიცედ სჯეროდა, ცოდნაა ის „ქრისტიანობრივი საშუალება, რომლითაც შეუძლიათ წამხდარ დახსნას ჩვენი ცხოვრებისა, გულში ჩაუდგეს ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს" (ტ. IV, გვ 340), ვინაიდან მხოლოდ მას ხელეწიფება გადარჩენის ქვეყანაში ერთობა და გაძლიერება, რადგანაც ამათგან „განათლებულების წამალი განათლებაა, მკვიდრი ცოდნა, რომელიც უნდა იყოს აშენებული ჩვენი ოჯახობა და საზოგადოება" („დროება" №65, 1882, გვ. 3) ვინ - ვინ და, დღევანდელმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ მართალი იყო ერის [illegible] მამა, როცა ბრძანებდა: „განათლება ფეხ-მძიმე დადის" (ტ. II, გვ. 143).

ცოდნის ძირი და ძირი ხომ სკოლაა, იგი საყრდენია ერის განათლებისა და, აქედან გამომდინარე, მასზე ყოველმხრივ დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის, საქართველოს დამოუკიდებელი და თავისუფალი განვითარება. როგორც დიდი ილია წერდა, „სწორედ სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება" (ი. ჭავჭავაძე - თხზ. აკადემ. ტ. IV, გვ 340).

დიდი მისია ეკისრება სკოლას, დიდი ტვირთიც უკიდია ზურგზე, როგორ უძლებს იგი დღეს ერისათვის ესოდენ საჭირო და სასიცოცხლო ფუნქციას? ნუთუ დღესაც სკოლა „ფეხ-მძიმე დადის".

თითქმის საუკუნის წინ გვარიგებდა სულმნათი ილია: „ადამიანი უნდა იწვრთნებოდეს სკოლაში ყოველ მხრით გონებით, ზნე-ხასიათით, სულით და ხორცით და არც ერთი ამათგანი არ უნდა შეეწიროს მეორეს" (ტ. IV, გვ 306). უპასუხებს კი დღევანდელი სკოლა ამ მოთხოვნებს? ამ კითხვასაც ილიას სიტყვებით ვუპასუხებთ და თან მივმართავთ განათლების სისტემის მესვეურთ: „მოგვეცით მართალი სკოლა, ქართველის სულის და გულის ამამაღლებელი, გონების გამხსნელი! ნუ გაურევთ სკოლის უწმინდეს საქმეში სხვა საქმეს, რომელიც სკოლას არ შეჰფერის!"

მარინა კარტოზია

უკვდავება ღვაწლისა

# კიტა ჩხენკელი – ქართული ენისა და ლიტერატურის დიდი მოამაგე

ჩვენი ჟურნალის წინა ნომრებში რუბრიკით "ქართული ენის მოჭირნახულენი" გამოვაქვეყნეთ ქეთევან ბერიძისა და ვახტანგ იმნაიშვილის წერილები ქართველოლოგთა შედარებული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების, კიტა ჩხენკელის მოწაფეებისა და ერთგული თანამშრომლების – რუთ ნოიკომის, ლეა ფლურისა და იოლანდა მარშევის– შესახებ. რედაქციამ მიიღო პროფესორ შოთა შათირიშვილის ბარათი ამ პუბლიკაციების თაობაზე და მანვე შემოგვთავაზა წერილი კიტა ჩხენკელის შესახებ. ამ წერილში ბატონი შოთა იგონებს, როგორ გაეცნო კ. ჩხენკელის წერილს და ბრძანებს, რომ აუცილებელია უფრო ვრცლად და საფუძვლიანად გავეცნოთ კიტა ჩხენკელის მოღვაწეობის თაობაზე ქართველ მკითხველს. დაინტერესებულ მკითხველს ვაცნობებთ, რომ უახლოეს ნომრებში შემოგთავაზებთ ვრცელ პუბლიკაციას კიტა ჩხენკელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

ჩვენი საუკუნის 50-იანი წლების მიწურულში ქართულ პრესაში წავიკითხე ცნობილი ჩეხი ქართველოლოგისა და მთარგმნელის იარომირ იედლიჩკას მოკლე, მაგრამ მეტად საინტერესო სტატია. ავტორი გვაუწყებდა, რომ ციურიხში (შვეიცარია) დოქტორმა კიტა ჩხენკელმა გერმანულ ენაზე გამოსცა ქართული ენის გრამატიკა ორ ტომად, სათაური „Einfuhrung in die Georgische Sprache".

იარომის იედლიჩკას ინფორმაციამ ძალიან დამაინტერესა. დავიწყე წიგნის ძებნა ბიბლიოთეკებსა და კერძო პირებთან. კარგა ხანს უშედეგო იყო ჩემი მცდელობა. ბოლოს გავიგე, რომ ამ წიგნის ორივე ტომი მიიღეს თბილისის ცენტრალურ, როგორც ჩვენ მაშინ ვეძახდით, საჯარო ბიბლიოთეკაში. ამ ბიბლიოთეკაში უცხოური წიგნის ფონდი ცალკე ჰქონდათ. მივედი, ვკითხე, რაც მაინტერესებდა. თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ ეს წიგნი მართლაც მიიღეს. მაგრამ განმარტეს, რომ ის სპეცფონდის კუთვნილებაა და სათანადო ნებართვის გარეშე ვერ მომცემდნენ. ნებართვაზე უარი არ უთქვამთ, მაგრამ დირექციაში ამიხსნეს, რომ წიგნზე ვიმუშავებდი ცალკე ოთახში, სათანადო მეთვალყურის თანდასწრებით. შეთანხმებული მუშაობის დროს, დანიშნულ საათზე მივედი. მალე „მეთვალყურე" გამოჩნდა. თანამშრომლებმა გამოიტანეს ორი დიდი, შესანიშნავ ყდაში ჩასმული ტომი. ეს იყო კიტა ჩხენკელის გერმანულად დაწერილი და გამოცემული „ქართული ენის შესავალი" (Einfuhrung in die Georgische Sprache, Zurich (Schwitzerland) Amirani Verlag 1958. გადავათვალიერე ორივე ტომი, რომელთა გვერდების საერთო რაოდენობა 1300-მდე აღწევდა. გამოცემა პოლიგრაფიულად შესანიშნავ შთაბეჭდ-

ლებას ტოვებდა. გამომცემლობა „ამირანი“. ცხადია, ავტორის მიერ იყო ორგანიზებული და შექმნილია ქართული სახელწოდებით. როგორც თვითონ ავტორი წერს, წიგნის ძირითადი დანიშნულებაა, დაეხმაროს დაინტერესებულ პირებს ქართული ენის შესწავლაში. პირველი ტომი წარმოადგენს თეორიულ ნაწილს, მეორეში კი მოცემულია სავარჯიშოები და ქრესტომათია. წიგნის ავტორი ძირითადად ემყარება ქართველი ენათმეცნიერების შრომებს.

პირველი ტომის 64 გვერდი შეიცავს წინასიტყვაობას (Enlcitung), ფონეტიკური მოვლენების მიმოხილვას და მსჯელობას ქართულ ანბანზე სათანადო საილუსტრაციო მასალით. წარმოგვიდგენს ქართული დამწერლობის ბეჭდურ და ხელნაწერ ნიმუშებს და მათი გადაბმის ფორმებს; დანარჩენი 622 გვერდი ამ ტომისა დაყოფილია 48 მონაკვეთად (Lektion), რომლებშიც მაღალ ლინგვისტურ დონეზეა გაანალიზებული ქართული ენის მეტყველების ნაწილები, ე.ი. ენის მორფოლოგიური დონე. ავტორს მოაქვს სხვადასხვა ფერებში გაფორმებული უხვი ენობრივი მასალა, რათა გაუადვილოს მკითხველს ფორმანტების აღქმა და დამახსოვრება. ტომი მთავრდება დასკვნებით ქართული ზმნის სისტემის შესახებ (6 გვ.).

„ქართული ენის შესავლის“ მეორე ტომში 624 გვერდია. იგი შრომის პრაქტიკული ნაწილია. ავტორი წარმოგვიდგენს კარგად შერჩეულ უხვ ენობრივ მასალას I ტომში გაანალიზებული ქართული ენის მოვლენების პრაქტიკული შეთვისებისათვის. დასაწყისში წარმოდგენილია გერმანულ შემოკლებათა განმარტება. შემდეგ, ამ ტომის 1-395 გვერდებზე მოცემულია 48 სახის სავარჯიშო პირველ ტომში განხილული მონაკვეთების (Lektion-გაკვეთილი) მიხედვით. ცალკეული სახის სავარჯიშო იწყება უცნობი სიტყვებით, რომლებსაც იქვე აქვთ მიწერილი გერმანული მნიშვნელობა. მოცემულია სიტყვის აგებულება (გ-ნიშნ-ავ, უ-ცდ-ებ-ი). შემდეგ წარმოდგენილია მრავალფეროვანი სამეტყველო ფრაზები, ნაჩვენებია სიტყვის სხვადასხვა კომუნიკაციური დატვირთვა და აზრის გადმოცემის შესაძლებლობანი; ბოლოს მიღებული ცოდნის განსამტკიცებლად შერჩეულია გერმანულიდან ქართულად სათარგმნი დიდი რაოდენობის მასალა (რამდენიმე ნაბეჭდი გვერდი). სავარჯიშოები კომპლექსურია და თანდათანობით რთულდება შესწავლილი მასალის ზრდის პარალელურად.

ამის შემდეგ (397-614) გვერდზე ავტორს მოცემული აქვს ქრესტომათია ქართული ხალხური სიტყვიერებისა და ქართველ კლასიკოსთა მხატვრული ნაწარმოებებიდან. მასში შეტანილია ნაწყვეტები ი. გოგებაშვილის „დედაენიდან“, შოთა რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იოსებ დავითაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, სიმონ გუგუნავას, კოტე მაყაშვილის და სხვათა ნაწარმოებებიდან. ყოველ ნაწარმოებს წინ უძღვის ლექსიკური და გრამატიკული მასალის განმარტება. შემდეგ გვერდის მარცხენა მხარეს დაბეჭდილია ქართული ორიგინალი, ხოლო გვერდის მარჯვენა მხარეს წარმოდგენილია წიგნის ავტორის მიერ უაღრესად ზუსტად და მაღალ ლიტერატურულ დონეზე შესრულებული ადეკვატური თარგმანი (ლექსებიც პროზით არის გადათარგმნილი გერმანულ ენაზე). ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ორივე ტომი უაღრესად მაღალ დონეზეა შესრულებული, როგორც ლინგვისტური და ლინგვოდიდაქტიკური, ისე პოლიგრაფიული თვალსაზრისით.

წიგნის გაცნობა-დამუშავებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა. ჩემს მეთვალყურეს მობეზრდა სისტემატური სიარული, იშვიათად შემოივლიდა, გამესაუბრებოდა და წავიდოდა. მოსკოვი კი, როგორც მითხრეს, კვირაში ორჯერ ითხოვდა ინფორმაციას, ვინ მუშაობდა ამ წიგნზე. მაშინ მხოლოდ მე ვკითხულობდი მას და ინფორმაციაშიც, ცხადია ჩემი გვარი ფიგურირებდა. მუშაობა რომ დავამთავრე, ნახევარი თაბახის მოცულობის (12 გვერდი) რეცენზია დავწერე ამ მრავალმხრივ საინტერესო წიგნზე და ერთ-ერთი ჟურნალის რედაქციაში მივიტანე. ძალიან მინდოდა ჩვენს ხალხს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას სცოდნოდა, რომ სამშობლოს ძალად მოცილებული ადამიანებიც თავის ხალხზე, მის დედაენასა და ცხოვრებაზე ზრუნავდნენ. რეცენზია გადაათვალიერეს, რაღაცეები მკითხეს. სხვათა შორის, ისიც ვუთხარი, რომ ამ წიგნის შესახებ პატარა ინფორმაცია უკვე იყო ჩვენს პრესაში. დამტოვეს, შემპირდნენ, რომ დაბეჭდავდნენ. მითხრეს, ხანდახან შემევლო ამბის გასაგებად. მეც ასე ვიქცეოდი. საკმაოდ დიდი ინტერვალით ვკითხულობდი, როგორ იყო საქმე. ბოლოს თქვეს: ძალიან უნდოდათ დაებეჭდათ, მაგრამ მასალა როგორღაც ვერ ნახეს, „დაეკარგათ“. მე ვუთხარი, რომ მაქვს რეცენზიის სხვა ეგზემპლარი და მივუტანდი. თითქოს „გაუხარდათ“. კიდევ რამდენჯერმე მივაკითხე ახლა „შეწუხებულებმა“ კვლავ გამიცხადეს, რომ მეორე ეგზემპლარიც „დაეკარგათ“. აშკარა იყო, თავს აარიდეს, მათი აზრით, „საშიშ საქმეს“. მივხვდი, რომ თავის ხალხის ინტერესებზე ფარული მსჯელობა ზოგიერთებისათვის ტყუილი ქადილი იყო. აშკარად გამოჩნდა, რომ „საპირადო“ საქმე, თავისი კეთილდღეობა წინა პლანზე ჰქონდათ დაყენებული, საერთო ეროვნულ საქმეებთან მიმართებაში. მოგვიანებით შემოკლებული სახით ეს სტატია პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებაში“ დაიბეჭდა. წიგნის ავტორმა, როგორც ჩანს, შეიტყო ამის შესახებ, და თავის ნათესავს სთხოვა, ეშოვნათ ჟურნალი. მალე მომნახეს და ჟურნალის ერთი ეგზემპლარი მივეცი. ცხადია, გაუგზავნიდნენ. მე არაფერი გამიგია. წიგნის ავტორი მალე გარდაიცვალა.

კოტე ჩხენკელმა ბევრი რამ გააკეთა ქართული ენის გაცნობისა და პოპულარიზაციისათვის ევროპაში.

კ. ჩხენკელის წამოწყებული ბევრი საქმე მისმა შვეიცარიელმა თანამოსაქმეებმა განაგრძეს და ბოლომდე მიიყვანეს.

თავისთავად ცხადია, რომ ყველაფერი ეს კოტე ჩხენკელის მიერ დათესილი და ნალოლიავები თესლის ნაყოფია. ვფიქრობ, რომ მეტი დაინტერესება და ყურადღება გვმართებს ქართველი ხალხის ამ კეთილშობილი შვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გაცნობა-შესწავლისათვის. დროა ენერგიულად მოვკიდოთ ხელი ამ საქმეს. იგი დღევანდელ პირობებში უფრო რეალურია და ეფექტურიც იქნება, სანამ კ. ჩხენკელის მოწაფეები ცოცხლები არიან და საქმიანობენ.

**პროფ. შოთა ბათირიშვილი**

თამარ შარაბიძე

# ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზია



ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში ნათლად ჩანს, რომ პოეტი მუდმივ ძიებასა და წინააღმდეგობაშია. წინააღმდეგობაა თვით მის შინაგან სამყაროშიც: იცის, რომ სოფელს არ უნდა მიენდოს, მაგრამ მაინც მტკივნეულად განიცდის მის მუხთლობას. სწორედ აქედან გამომდინარე ჩნდება მის შემოქმედებაში ეჭვი და დგება ბედისწერის საკითხი. ბედისწერის-ბრალია, რომ პოეტი მუდმივ ტანჯვაშია. იგი ბედისაგან შეკრულია; ამიტომ მისი ბედნიერება ბედის გახსნაში, მის დაძლევაში მდგომარეობს. ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებაში არ დგას ბედისწერასთან შეჭიდების ან მისი გადალახვის საკითხი, მაგრამ თავად პრობლემის დაყენება უკვე მცდელობაა, ძიება მისი დაძლევის. პოეტის აზრით, ვისაც ხელთ უპყრია „ნება გულისა", ის იგემებს სიყვარულის სიტკბოს, ვინც „გარემოებით" კი არა, გულით მოქმედებს, იხილავს „განშლას ბედშეკრულისა". ე.ი. ბედის გადალახვა შესაძლებელი ყოფილა. ეს ჭეშმარიტი სიყვარულით უნდა განხორციელდეს, რომელსაც არ აშინებს სიძნელეები:

„იხილავთ ვარდსა სახე მტკბარითა,
თუ არ შეკრთებით მისის ნარითა.
სიმხნეს მოიგებთ წამლად წყლულისა"
(„ედემის კარი განახებული")

არ უნდა შევსაბამებოდეს სიმართლეს ის აზრი, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე საზოგადოებრივი ცხოვრების მსვლელობას აქცევს, როგორც წრეწრეზე დროთა ცვალებადობას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სასურველი წარსულის დაბრუნება. პოეტის აზრით, მართალია, ცხოვრება ცვალებადია, მაგრამ განახებულის კარი გაიღება და სიხარულის ჟამი დაუდგება მხოლოდ მას, ვინც ჭეშმარიტი სიყვარულის გზით იცხოვრებს:

„ვისაც ხელთ გქონდეთ ნება გულისა,
იგემეთ სიტკბო სიყვარულისა".
(„ედემის კარი განახებული")

ლექსის იდეა იდენტურია სახარებისეული იგავის ათი ქალწულის შესახებ: სასუფევლის კარი გაიღება მათთვის, ვინც ანთებული ლამპრებით შეეგებება სიძეს.

სიყვარული ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ფართო ცნებაა. იგი იტევს სამშობლოს, მოყვასის და სატრფოსადმი გრძნობებს. ალ. ჭავჭავაძის ლექსები ისეთი ზოგადი ხასიათისაა, რომ ზოგჯერ ჭირს გაგება სატრფოსა და ვარდის სახეში სამშობლოს გულისხმობს პოეტი თუ ქალს.

მის სატრფიალო ლექსებში საყვარელი ქალი ხან ვდემს რუგული სარო, ხან „მთოვარე"- ბნელი ღამის გამნათებელი, ხანაც მზე - სიცივილისაგან მხსნელი. სიცოცხლის მომნიჭებელი, პოეტი კი ხვა, რომელიც გაზრდა უსიერი სატრფოს სახლი მისთვის წალკოტის კარია, მისი ტანისთვის სასუფეველიც კი. ეკარგვის პოეტს ერთ-ერთ უსათაურო ლექსში ალ. ჭავჭავაძე სიყვარულისაგან მოშორებას მეორედ მისვლას ადარებს და სვამს კითხვას: „რომელი უფრო ძნელია?" იგი თავადვე იძლევა პასუხს:

„პირველში - სული ცხოველი მკვდარ გვამთან უკუიქცევა
და მეორეში - ცხოველს გვამს სული თვალდათვალ ექცევა".

ე.ი. „სიყვარულისა მორევება" სულის დაღუპვას მოასწავებს. ასე ამაღლებულად გვიხატავს ალ. ჭავჭავაძე სიყვარულს. იგი ამ გრძნობას ცით მოვლენილ ნიჭად მიიჩნევს:

„მგრძნობელობა სჯობს
ყოველთ თვისებათ ცით მოვლენილთა,
შვენებასაცა და გონებას ის ასულმდგარებს!"
(„შენის გონების")

ალ. ჭავჭავაძის სატრფიალო ლირიკიდან ყველაზე მეტად პოპულარულია ლექსი „სიყვარულო, ძალსა შენსა". პოეტის აზრით, სიყვარული დაუძლეველი ძალაა, რომელსაც შეუძლია დაიმორჩილოს ყველა. ადამიანის მთელი ცხოვრება თავისებურად წარმართოს:

„სიყვარულო, ძალსა შენსა, ვინ არს რომე არ ჰმონებდეს?
ვინ არს, რომე გულსა ტახტად, ოხვრას ხარკად არა გცემდეს?
შენგან მეფე მონას ჰგმობს, შენგან ბრძენი ხელად რბოდეს.
მაშ, ბულბულსა რად ეზრახვის, რომ შენ გამო ვარდს შეჰყვედეს?"

სიყვარული იმორჩილებს მეფესაც და ყმასაც, ბრძენსაც და „ხელსაც". მისი ძალა ყველამ იცის. პოეტი მას ადარებს თვითმპყრობელ მეფეს, რომელსაც გულები ჰყავს ქვეშევრდომად. ამიტომ ნებისმიერი ასაკისა თუ წოდების ადამიანი სიყვარულის მონა ხდება:

„სიყვარულო, ძალსა შენსა ყოველი გრძნობს, არსებს რაცა.
სჯულსა შენსა ყველა ერჩის- ბერი, ერი, მეფე, ყმაცა".

სიყვარულს სიმწარეც ახლავს, მაგრამ „ლხენაც მისგან გვეძლევის". ამიტომ არავინ ცდილობს მისი უღლიდან თავის გამოხსნას.

კრიტიკოსთა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ლექსის ბოლო ნაწილი:

„ნამდვილ კეთილ არს განცხრომა, იგი ნუმც ოდეს გვეღევის,
მაშ ცუდია, თუ მაში სიძნელეც არსით ერევის!"

რასაკვირველია, სიძნელე არ უნდა გავიგოთ როგორც ბოროტება ან როგორც სიძნელე ლექსის შინაარსიდან ჩანს, რომ სიყვარული სულიერი გრძნობა, ე.ი. ნათელია; მაგრამ პოეტს სურს უფრო მეტი თქვას ამ გრძნობის შესახებ. გვიჩვენოს მისი ზეციური - ღვთაებრივი არსი. სწორედ ამიტომ გამოხატავს სიყვარულს როგორც ნათელსა და ბნელს. ეს ტრაგიული ანტინომიური წყვილია და ნიშნავს არა ჩვეულებრივ ნათელს ან სიბნელეს, არამედ არაღამეულ ნათელს, ნათელზე აღმატებულს, ზენათელს, ნათლის უმაღლეს გამოხატულებას. პოეტის მიზანია სინათლის გამოკვეთა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნებოდა სიყვარულის ამამაღლებელი ძალის ჩვენება.

ბუნების რომანტიკული განცდა ალექსანდრე ჭავჭავაძის პოეზიაში გამოკვეთილი არ არის. ძირითადად მის ლირი-

გაგრძელება დას. იხ. „მე" №4 1998 წ.

კაში ბუნება ფონია ან დამხმარე მასალა, რომელსაც პოეტი იყენებს თავისი გრძნობების გამოხატვისათვის. ეს ყველაზე უკეთ გამოვლინდა ლექსში „კავკასია". პოეტი ხატავს საქართველოს ზეიადი მთების პეიზაჟს და საკმაოდ პლასტიკურადაც. ალ. ჭავჭავაძე მეტაფორულ სიმბოლიკას მიმართავს და განზოგადებულ პოეტურ სახეებს ქმნის: კავკასიონი ხან მბრძანებელ ღმერთად წარმოუდგება, ხანაც სასიკვდილოდ დაჭრილ ურჩხულად:

„და კავკას მათ მთათ შორის მხოლოდ უცვალებელი
ზოგთა ამუსრავს, ზოგთ აბადებს, ვით ღმერთი მბრძანებელი".

ძლევს უფრო მეტი ზღაპრული ბუნდოვანების მისანიჭებლად ალ. ჭავჭავაძე პრომეთეს მითს იშველიებს და გვეუბნება, რომ კავკასიონზე ღმერთისაგან შერისხული პრომეთეა დაბმული, რომელსაც ყორანი უხოკს გულ-მკერდს; ეს მთა სოფლის დასაბამიდან ცნობილია შეუვალად, მაგრამ მას შეესიენენ ქვის მთლელნი, „მედგრად მოჴდენი ცეცხლთა", არც ღელეთა სიღრმეს დაერიდნენ, არც მთათა სიმაღლეს.

„ისწავლეს, აღლესდნენ, ქუხილებ და კავკასი მკვნესარედ
ეხოდ მიერ წყლულთა თვისთა ცხად პყოფდა მწარედ".

კავკასიონის ზეიადი ბუნების დაწვრილებით აღწერასთან ერთად, ალ. ჭავჭავაძე ხაზს უსვამს საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას:

„განიხსნა გზა და უმეათ იფრინდით სასოება,
რომე მეფით შეეიდეს მათ შორის განათლება".

1932 წლის შეთქმულების ჩაშლის შემდეგ იცვლება ალ. ჭავჭავაძის პოლიტიკური მრწამსი. ლექსშიც „ძმ. ვ-" პოეტი ახალგაზრდულ შეცდომად მიიჩნევს შეთქმულებაში მონაწილეობას.

ზოგადადამიანური ტკივილები აისახა ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გოგჩა". პოეტი თანდათან ამაღლდა მხოლოდ სულის პოეზიისათვის დამახასიათებელ პრობლემებამდე იგი დარწმუნდა, რომ ადამიანი და ყოველივე, რაც კი მისი ხელით არის შექმნილი, წარმავალია. წარსულის ნაშთებმა მიუთითა პოეტს, რომ სხვაგვარი ხვედრი არც მას და მის შემდგომ ელის. ყველაფერი არარაობად იქცევა. მხოლოდ ბუნება არის მარადიული. თავის ისტორიულ ნარკვევში, რომელიც დაწერილია იმპერატორ ნიკოლოზ პირველისათვის საქართველოს წარსულის გასაცნობად, ალ. ჭავჭავაძე წერს: „ოდესღაც მრეწველობით აყვავებული ქალაქები გაქრნენ, მაგრამ მათი ნანგრევები დღესაც ჰყვებიან ქართველობის სამშობლოს გრძნობასო" ალ. ჭავჭავაძეს, მართლაც, სიამეს ჰგვრიდა ეს „ნანგრევები" – თავისი ერის წარსული, მაგრამ ამავე დროს ადამიანის სისუსტეს შეაცნობინებდა.

ასეთივე გრძნობაა გამოხატული „გოგჩაშიც". ეს არის პოეტის ყველაზე მეტად რომანტიკული ლექსი. ალ. ჭავჭავაძე უკმაყოფილოა აწმყოფიერი ცხოვრებით, სინამდვილით და არც მომავალი ესახება, არც მისი ნწამს ლექსში პოეტი ერთმანეთს უპირისპირებს ბუნების სიმშვიდის – გოგჩის ტბის და ქალაქის ნანგრევების, რომელიც ამ ტბის ნაპირებზე მოჩანს. ამ დაპირისპირებით გადმოცემულია ადამიანის ხელით შექმნილის არარაობისა და ბუნების მარადიულობის აღიარება. გოგჩის ტბის აღწერაში იგრძნობა პოეტის უშფოთ განცდა:

„გოგჩა – ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი,
ოდესმე ზეორითა აღჭივებით პოეტავს მოისხანეულ
ზოგჯერ, ვით ბრილი გულ-უბრყვილო წმინდა, უძრავი,
თვის შორის ახატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ".

გოგჩის ტბის მშვენიერება უცვლელია. მას არ შეუძრავს ქალაქი, თუმცა მშვენიერი, მაგრამ მაინც ადამიანთა ხელით ნაგები.

იქ, სადაც ერთ დროს „ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი", დღეს პოეტი ხედავს „მხოლოდ ბუთა და ნატამალთა". ბევრის მთქმელია ეს ნანგრევები. მნახველს მწუხარებით ავსებენ და უნებლიეთ მიახვედრებენ:

„აჰა პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,
აჰა ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა ჩვენისა მომავლისა ნამდვილი ხატი,
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ, ბრმობილო!"

მომავლის ხატი პოეტმა ხავსმოკიდებული ქალაქის ნანგრევებში დაინახა და აწმყოთი ნუგეში სიბრმავედ მიიჩნია. მისი აზრით, დრო ულმობელია ყველაფრისადმი. თვით ის ტაძარი, სადაც „მევენი მოწიწებით იდრეკდენ მუხლთა" და „სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად", ნანგრევებად იქცა, მხეცთა და ქვეწარმავალთა თავშესაფარად.

გოგჩის ტბის სანაპიროზე წინათ მდიდრული სავაჭროები მდგარა, სომეხი ვაჭრები – „მხნენი, ხელოვანნი მომგებლობისა" „არა თუ ვერცხლით, ნელობითაცა ყოვლადმდიდარნი" ყოფილან, დრომ მტერად აქცია ის ძალა და ღონე, მათი სახელის და შეძლების კვალიც კი წაშალა.

პოეტის თვალს არ გამოპარვია ნანგრევთა გვერდით გაშლილი ველი, რომელზედაც მხოლოდ ქვები ყარა. ამ ველზე ერთ დროს ასპარეზობა იმართებოდა და

„... მქროლავთ ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნით ტაცება ჭაბუკ-მხედართ გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირით ტყორცნა და ისართ სროლა"

ამჟამად მივიწყებულ არემარეში უწინ ჩვეულებრივი ცხოვრება მიმდინარეობდა.

„აქაც მძლდარა ძალი მაღალს ტახტზე ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა,
აქაც ულრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად,
ტრფიალნი აქაც შემსჭვალულან კვლავ ერთმანერთთა".

რამდენი ახალგაზრდა მიუზიდავს ამ ტბის სილამაზეს, რამდენჯერ აურეკლავს გოგჩას ბანოვნები წყლის სარკეში, რამდენჯერ ჩაუხედავს მთვარეს მასში და თავისი „ჩაგრულ-ყოფა" უგრძვნია.

„მაგრამ რა? დროსა მსრველის ცვლით, ყოვლია წარწყმედით,
ცოცხლთა მკვიდი მქონებლობაც სხვათაებრ მოსთვლილა!"

„გოგჩაში" ბუნების ხოტბაა მოცემული. ბუნების მარადიულობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების არარაობის ფონზე პოეტი რწმუნდება ადამიანის ყოფის უნაყოფობაში. „გოგჩაში" გამოხატული პოეტის სევდა მსოფლიო სევდაა. ამ გრძნობის მაგალითები შეიძლება ვიპოვოთ მსოფლიოს სხვადასხვა მწერლის შემოქმედებაში.

ჩვენ მიერ განხილული ლექსები ცხადყოფენ, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე თავისი შემოქმედებითი ტენდენციებითა და მსოფლმხედველობით რომანტიკოსია და არა სხვა რომელიმე ლიტერატურული მიმდინარეობის წარმომადგენელი, მიუხედავად იმისა, რომ მას არ შეუქმნია არც ერთი თეორიული ხასიათის ტრაქტატი ან წერილი. ალ. ჭავჭავაძის რომანტიკული მსოფლმხედვის დასტურებაა საკუთარი „მეს" თვითდახასიათების სურვილი, სამყაროსა და მოვლენის სუბიექტური აღქმა, პიროვნული გრძნობის გამოხატვა, წარსულზე ფიქრი და ოცნება, გრძნობათა ზოგადობა და სიმტკიცე. მუდმივი ძიება საკუთარი თავის შესაცნობად, მგრძნობელობის პრიმატის აღიარება, მაღალფარდოვანი სტილი და თვით ლექსიკაც კი, რომელიც ეფობრივი არქაიზმებით გამორჩევა და ამაღლებულის შინაარსს შეიცავს.

# თედო სახოკია – 130

# უჩინარი გაკვეთილები

თბილისის უნივერსიტეტის ძველ თანამშრომლებს უთუოდ კარგად ახსოვთ პროფესორ-მასწავლებელთა სამკითხველო დარბაზი პირველი კორპუსის ნიკოლოზ-ალექსანდრეს ქუჩაზე, სადაც ახლა სამეცნიერო საბჭოს სხდომათა დარბაზია. ჩემი თაობის ასპირანტებსა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებს ბევრი დღე დაგვილევია იქ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ნაკრებში.

ერთ ასეთ დღეს, მახსოვს, გაიღო კარი და დარბაზში წყნარი ნაბიჯით შემოვიდა ჩემთვის უცნობი ჭაღარაშემოსილი, თვალებში და ქათქათა საზაფხულო ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი. ეს იყო თედო სახოკია, რომლის სახელიც ბავშვობიდანვე მქონდა გაგონილი, მაგრამ – უნდა გამოვტყდე – არ მეგონა, თუ ის ცოცხალი იყო, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე დიდხანს აღარ ჩანდა.

მერე ასეთივე პიროვნება უფროსი თაობიდან, ვისი ცოცხლად ხილვაც ძალიან გამიკვირდა და ასევე ძალიან გამიხარდა, იმდენივე ყარაგავა იყო თედო სახოკიასა და იმდენივე ყარაგავას ჰქონდათ ბედნიერება, თანამშრომლები და ზოგჯერ ვკამათიც კი ილიასთან, აკაკისთან და ვაჟასთან, ათეული წლების შემდეგ კი გულისდაგ ესაუბრებოდა ანა კალანდაძისა და შოთა ნიშნიანიძის პოეზიაზე და გზა დალოცავდა მათთვის. ისინი დგანან როგორც ბურჯები იმ დიდი ხიდისა, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს და ამთლიანებს XIX და XX საუკუნეთა ქართულ ლიტერატურას. ისინი თავიანთი ადამიანური ღირსებითა და კეთილშობილებითაც აგრძელებდნენ წინაპართა ტრადიციებს და შუქურებივით გზას უნათებდნენ მომდევნო თაობებს.

გაიხსენა, როგორ გაემგზავრა რევოლუციური იდეებით გატაცებული თედო სახოკია საზღვარგარეთ არალეგალურად იარაღის შესაძენად და კინაღამ შეეწირა ამ საქმისათვის. იმის წყალობით გადარჩა, რომ ლაზ მეგზურებს მეგრულად გაუბა საუბარი. როცა რევოლუციის ქარიშხალმა იმედები დაუმსხვრია, თედომ პოლიტიკურ მოღვაწეობას თავი ანება და ყურადღება ძირითადად მთარგმნელობით საქმიანობაზე გადაიტანა.

თედო სახოკიას სახელი ჩემს მეხსიერებაში პირველად სწორედ მისი თარგმანების მეშვეობით აღიბეჭდა. მოწაფეობისას წაკითხულ ბოკაჩოს „დეკამერონსა" და მოპასანის ნოველებში ძირითადად სიუჟეტი მიტაცებდა. მთარგმნელის ოსტატობაზე კი მაშინ წარმოდგენაც არა მქონდა, მაგრამ ქართული ენის მადლსა და ცხოველმყოფელ ძალას ქვეშეცნეულად ვგრძნობდი და ისეთივე სიამოვნებას განვიცდიდი, როგორც ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებების კითხვისას. ამას გრძნობს ალბათ ყველა მკითხველი.

შემდეგ, სტუდენტობისას, მახსოვს, თედო სახოკიას სახელს ხშირად ახსენებდა ჩვენი გამოჩენილი ეთნოგრაფი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია, რომელიც კავკასიის ეთნოგრაფიის კურსს გვიკითხავდა უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა განყოფილებაზე. თედო სახოკიას ეთნოგრაფიული ჩანაწერები, აგებული უშუალო დაკვირვებებსა და მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე, მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე ქვეყნდებოდა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ მე მათ მხოლოდ მაშინ გავეცანი, როცა ცალკე წიგნად გამოიცა გიორგი ჩიტაიას რედაქციით და წინასიტყვაობით (1950 წ.). ამ წინასიტყვაობაში სხვათა შორის ნათქვამია, რომ თ. სახოკიას არა ერთი და ორი ეთნოგრაფიული ნარკვევი დაბეჭდილია რუსულ, ფრანგულ, ინგლისურ და იტალიურ ენებზე. მის მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული საკოლექციო კომპლექსები დაცულია სხვადასხვა მუზეუმებში საქართველოში, რუსეთსა და საფრანგეთში; მას არაერთგზის მიუღია მონაწილეობა საერთაშორისო ეთნოგრაფიულ ყრილობებში.

თედო სახოკიას მეცნიერული ნაშრომებიდან საგანგებოდ უნდა გამოვყოს სამტომიანი „ხატოვანი სიტყვა-თქმანი" (1950–1955 წწ.). ეს არის ქართული იდიომების პირველი ლექსიკონი, გამორჩეული თავისი სისრულით, ვრცელი განმარტებებით, სინონიმებით და საილუსტრაციო მასალის სიუხვით. ამ ლექსიკონის პირველი ტომი რომ გამოვიდა, მე პირველი თუ მეორე კურსის ასპირანტი ვიყავი. გავბედე და პატარა რეცენზია გამოვაქვეყნე მის შესახებ გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებაში". მხცოვანი მოღვაწის ხანგრძლივი შრომის ნაყოფის შეფასება ჩემისთანა დამწყები კალმოსნის მიერ, რა თქმა უნდა, დიდი თავხედობა იყო, მაგრამ ბატონმა თედომ კი დედაჩემის პირით მადლობა შემოუთვალა მისი ნაშრომის დადებითი შეფასებისათვის (დედაჩემი სერაფიმა ტყავაძე ბატონი თედოს შვილიშვილს, ამჟამად ცნობილ ენათმეცნიერს, შუქია აფრიდონიძეს ასწავლიდა დაწყებით კლასებში).

ასე იღებდა ჩემი თაობა უჩინარ გაკვეთილებს თედო სახოკიასაგან და მისი მსგავსი კეთილშობილი ადამიანებისაგან, ჭეშმარიტი მამულიშვილებისაგან.

**ზურაბ ჭუმბურიძე**



# დიდი ადამიანური სკოლა

ვერ მივცემ თავს უფლებას ვილაპარაკო ლეგენდზე ისეთი ადამიანისა, როგორიც გახლდათ ბატონი თედო სახოკია. ვერც იმას ვაპატიებ ჩემს თავს, რომ ჩემი სათქმელი არა ვთქვა.

ორმოციან წლებში არნოლდ ჩიქობავას თაოსნობით დაიწყო მუშაობა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონზე. იმ პერიოდში გმირობა იყო ეს ძალისხმევა ბატონი არნოლდისა. ამაზე მრავალგზის თქმულა და მომავალში მეტი ითქმება. ამ საქმეში მან ჩააბა არა მარტო ენათმეცნიერების ინსტიტუტი, არამედ მეცნიერებათა აკადემიის სხვა ინსტიტუტების სპეციალისტები, უნივერსიტეტი და მთელი ქართული საზოგადოებრიობა და, რასაკვირველია, პირველ რიგში მწერლობა. აქ იყვნენ გოგლა ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, გერონტი ქიქოძე, ბოტანიკოსი ალექსანდრე მაყაშვილი, ზოოლოგი არჩილ ჯანაშვილი, თამარ ლომოური, ქრისტინე (ნიტო) შარაშიძე და სხვა მრავალი. და მათ შორის იყვნენ დიდი, სახელოვანი და სულნათელი, სპეტაკი, უსაყვარლესი ადამიანები თედო სახოკია და ილია ზურაბიშვილი. ესენი ხომ ილიასა და აკაკის გვერდში მყოფი ადამიანები იყვნენ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ ლექსიკონთან დაკავშირებულ ყოველგვარ საქმიანობაში, სიტყვანის შედგენა იყო თუ განმარტებული მასალის განხილვა. მათთან ურთიერთობა ჩვენთვის, ლექსიკოლოგიის განყოფილების თანამშრომლებისათვის, დიდი ბედნიერება და დიდი ადამიანური სკოლაც იყო.

ბატონი თედო და ბატონი ილია ჩვენ, როგორც ტოლებს, ისე გვექცეოდნენ. ჩვენც ვფიქრობდით: რას არ გვიამბობდნენ, რას არ გვიზიარებდნენ. ძველსა თუ ახალს (სად იყო ჭკუა, რომ ჩამეწერა). ისინი ჩვენი ნამდვილი მეგობრები იყვნენ. დროდადრო ბატონი თედო, როდესაც მარტოს დამიხელთებდა, მკითხავდა: ყმაწვილებისა ხომ არაფერი გაგიგიათ? ის ყმაწვილები იყვნენ ქრისტეფორე რაჭველიშვილი და მამაჩემი მიხეილ საყვარელიძე, 37 წლის მსხვერპლნი. სწყუროდა მათზე რამე გაეგო. ამაში ჩანდა მისი ის დიდი გამოწვეული ტკივილი. ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ სტკიოდა!? როგორ გვაკლდება ახლა ასეთი ადამიანები. ღმერთმა ნურც დაგვილიოს!

**ნუნუ საყვარელიძე**

*არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი*



## 1993-1998 წლებში გამოქვეყნებული ბესარიონ ჯორბენაძის ნაშრომები:

1. ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 1995, 80 გვ.
2. ქართველური ენების დიალექტები, თბ., 1995, 446 გვ.
3. ენა და კულტურა, თბ., 1997, 202 გვ.
4. ქართული დიალექტოლოგია, ტ. II, თბ., 1997, 676 გვ. (იბეჭდება)
5. დიალექტური ტექსტის განსაზღვრისათვის, იკე, ტ. XXXII, თბ., 1993
6. აკაკი წერეთელი – დედაენის მოამაგე: აკაკი წერეთელი – 150, საიუბილეო კრებული, თბ., 1993
7. ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში: ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, X, თბ., 1993
8. რთული ზმნისწინის სიტყვათწარმოებითი დანიშნულებისათვის ქართულში: იკე, XXXIII, თბ., 1995
9. ქართული ენობრივი ეტიკეტი: ბურჯი ეროვნებისა, №1,2; 1995
10. ენა და ეროვნული კულტურა: ბურჯი ეროვნებისა, №4,5; 1995
11. სიტყვა წარმოთქმული თსუ ახალი ქართული ენის კათედრის სხდომაზე 1978 წლის 30 მარტს: ბურჯი ეროვნებისა, №4, 1996
12. მეტყველება – საზოგადოებრივი ქცევის ფორმა: ბურჯი ეროვნებისა, №5, 1996
13. მეტყველება – უტყუარი პიროვნული მახასიათებელი: ბურჯი ეროვნებისა, №8, 1996
14. თუ ენის ხერხემალი მტკიცეა: ბურჯი ეროვნებისა, №5, 1997
15. მეტყველება– უტყუარი პიროვნული მახასიათებელი, II: ბურჯი ეროვნებისა №6, 1997
16. გურიაში განათლების ისტორიის ერთი ფურცელი (ჩიბათის სკოლის 100 წლისთავის გამო) ა. ჯორბენაძის თანაავტორობით: „გურია“, თბ., 1997
17. ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციისათვის: ბურჯი ეროვნებისა, №1, 1998
18. ალ. ყაზბეგის ენობრივი სამყარო: ბურჯი ეროვნებისა, №2–3, 1998

* * *

ხუთი წელი გავიდა, რაც ბატონი ბესიკო აღარ არის ჩვენს გვერდით, მაგრამ მისი მოულოდნელი წასვლით გამოწვეული ტკივილი დღესაც ისევე მძაფრი და გაუნელებელია, როგორც ყველაფერი, რაც ბატონ ბესიკოსთან გვაკავშირებს და ჩვენთვის არასოდეს იქცევა მხოლოდ მოგონებებად.

ბატონი ბესიკო თითქმის ოცდახუთი წლის მანძილზე ჩვენი მასწავლებელიც იყო და ხელმძღვანელიც. ეს წლები ერთნაირად მნიშვნელოვანი და ძვირფასია. მისი უდრეკად საინტერესო, მრავლისმომცველი ლექციები, რომელსაც იგი თითქოს ერთი ამოსუნთქვით კითხულობდა, იმთავითვე გიჩენდა სურვილს, შენც შეგესწავლა და გაგეგო ეს საკითხები.

ბატონი ბესიკოსთვის არ არსებობდა წვრილმანი და დიდი საქმე. ყველაფერს ერთნაირი გატაცებით აკეთებდა. ეს მუხტი საოცრად გადამდები იყო. ყოველთვის ძალიან დაკავებული, საქმით დატვირთული, იგი მუდამ პოულობდა დროს, დახმარება გაეწია ჩვენთვის, ყველასთვის, ვისაც რამეს გაკეთების სურვილი და ინტერესი ჰქონდა. როდესაც სპეციალობაში გამოცდა უნდა ჩაგვებარებინა, ბატონი ბესიკო რამდენიმე თვის მანძილზე გვიტარებდა სემინარებს ასპირანტებისა და მაძიებლების ერთ ჯგუფს. გამოცდაზე ყველაზე მნიშვნელოვანი ის „ლიმონჩა“ გახლდათ, რომ იგი ჩვენთან ერთად ნერვიულობდა და შედეგითაც ჩვენზე მეტად იყო გახარებული.

ერთ-ერთი ყველაზე ფასეული, რასაც ბატონი ბესიკო ჩვენში ზრდიდა თუ აღვივებდა, იყო ავტორიტეტებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება, რაც შეხამებული იყო მათდამი უდიდეს პატივისცემასთან, მათი ნააზრევის დაფასებასთან და ამის საუკეთესო მაგალითს თვითონ იძლეოდა.

ახლა, როდესაც ქვეყნად ამდენი უბედურება დატრიალდა, როცა ხდება ყველაფრის გადაფასება, ჩვენთვის ერთ-ერთი ძვირფასი საყრდენი ისევ ბატონი ბესიკოა. ყველაზე ფასეული ის, ერთი შეხედვით, ბანალური ჭეშმარიტება აღმოჩნდა, რომლითაც თავად ცხოვრობდა და ჩვენც გვასწავლა ამ წესით ცხოვრება: გვეყვარებოდა ერთმანეთი და ის საქმე, რომელსაც ვემსახურებით. როდესაც ქართული ენის მორფოლოგიის კურსით გათვალისწინებული ლექსიკონების შედგენა და გამოცემა გადაწყდა, ბატონმა ბესიკომ ეს ჯგუფები მეგობრებისაგან შეადგინა, იმ ადამიანებისაგან, რომელთაც პირადი ურთიერთობა გაუადვილებდა ერთად მუშაობას. ჩვენთვის, ვისაც ბედნიერება ჰქონდა ბატონ ბესიკოსთან ერთად ემუშავა ამ ლექსიკონებზე, დღემდე აუხსნელია, როგორ შეძლო მან ეს მონოტონური, ერთი შეხედვით ერთფეროვანი შრომა თავისი გადამდები ენთუზიაზმის წყალობით ერთად საქმის კეთების სიხარულად ექცია.

ბატონი ბესიკო დიდ პატივისცემას იჩენდა ყველაფრისადმი, რასაც ვაკეთებდით. გვარწმუნებდა, რომ ეს ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია და ასე თანდათან გვიჩენდა საკუთარი შესაძლებლობების რწმენას. თავისი წიგნი მოწაფეებს ასეთი წარწერით გვაჩუქა – „კოლეგას“. ეს სიტყვა ზუსტად გამოხატავს მის დამოკიდებულებას ჩვენდამი. მან ყველაფერი გააკეთა, რათა ჩვენ, მისი მოწაფეები, ერთგვარად მოაზრენი კი არა, თანამოაზრენი ვყოფილიყავით. იგი უშურველად გასცემდა თავის ენერგიას, ჩვენ კი ანგარიშმოუცემლად ვსარგებლობდით იმ სიკეთით, რასაც ბატონი ბესიკოს გვერდით ყოფნა ნიშნავდა.

და როდესაც ბატონი ბესიკო წავიდა ჩვენგან, აღმოჩნდა, რომ თითოეულ ჩვენგანში მისი სულის ნაწილია და იმდენად რეალურია მისი თანაარსებობა ყოველი ჩვენგანისათვის ცალ-ცალკე და მით უფრო, როცა ერთად ვართ, რომ ალბათ ესეცაა ადამიანის უკვდავება.

ეს სრულებით არ არის ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები და ეს არის ბატონი ბესიკოს ყველაზე დიდი გაკვეთილი.

ნინო ჭუმბურიძე
ნანა ლოლაძე
მარინე კიკონიშვილი

* * *

დრო ყველაფრის მკურნალიაო, ამბობენ. მაგრამ ეს ასე არ არის. 5 წელი გავიდა ბატონი ბესიკის გარდაცვალებიდან. მაგრამ დრომ მხოლოდ თავზარდამცემი ელდა გააქრო. თორემ ტკივილი ისეთივე ღრმა და მოუშუშებელი დაგვრჩა, როგორიც იმ საშინელ დღეებში გვქონდა. ხანდახან პირიქითაც გვგონია, რაც დრო გადის, მით უფრო გაუსაძლისია ტკივილი და მონატრება.

ბატონო ბესიკ!

ჩვენ ნელ-ნელა ვეჩვევით უთქვენოდ ცხოვრებას. გვიჭირდა და გვიჭირს. ხშირად ძალიან გვენატრებით: ძნელად. მაგრამ თანდათან ვერევით ამ გრძნობას, რადგან თქვენ ხშირადა ხართ ჩვენთან! მძიმე განსაცდელიან თუ სიხარულითა და ბედნიერებით სავსე დღეებში ვგრძნობთ თქვენს სიახლოვეს. ელდასავით ერთიც ხშირად დაგვცემია თავზე და მერესაც ხშირად გაუხარებივართ.

ასეთ დღეებში თქვენ ჩვენთანა ხართ!

თქვენს მონატრებას გვიმსუბუქებს მოგონებები და ჩვენი ყოველდღიური საქმიანობა, რომელიც ჯერ კიდევ გვაკავშირებს თქვენთან. ყველა საქმე, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, თქვენი დაწყებულია.

თქვენი დაუბეჭდავად დარჩენილი წიგნები უთქვენოდ მოდიან ჩვენთან. თქვენი ახალი წიგნები ცოცხლებივით რომ შემოგვიღებენ კარებს, ხელის კანკალით შევეხებით თუ არა, სევდიანი ღიმილი ისადგურებს ჩვენს შორის.

ასეთ წუთებში ყველაზე მეტად ვგრძნობთ, ჩვენს შორის რომ ხართ!

ასე იყო მაშინაც, ბატონმა გოგიმ სტამბიდან თქვენი „ენა და კულტურა" რომ მოიტანა. ამ წიგნს ჩვენს პატარა ოთახში თითქოს თქვენც შემოყევით და ჩვენი სიხარული გაიზიარეთ.

ეს მტკივნეული განცდა იყო.

– ბატონი ბესიკი რას გვეტყოდა ამ დროს? ბატონი ბესიკი როგორ მოიქცეოდა ამგვარ სიტუაციაში?– ხშირად ვეკითხებით ერთმანეთს და უფრო მშვიდად და გაგებით ვხვდებით პრობლემებს. ამას თანდათან უკეთესად ვახერხებთ, რაკი ჩვენს შორის ასაკობრივი სხვაობა უკვე მცირდება.

ჩვენ ახლაც ბევრს ვსწავლობთ თქვენგან.

გაბრაზებული და მოჩხუბარი ბატონი ბესიკი არცერთ ჩვენგანს არ უნახავს.

გული გეწყდება, სიცოცხლეში რომ ვერ მოგეფერეთ. ჩვენ ხომ ყველაზე ძლიერი და ყველაზე ამტანი გვეგონეთ. ძალიან დამშვიდებული ვიყავით, რადგან გვერდით მამასავით ძლიერად გვედექით.



ახლა თავს იმით ვიმშვიდებთ, როგორ შეიძლება, სიცოცხლეში არ ეგრძნო, ასე ძალიან რომ გვიყვარდა-თქო.

ბატონო ბესიკ, ახლა მაინც თუ გრძნობთ, რა ძლიერ გვიყვარხართ!

**ციცინო კვანტალიანი**

* * *

იშვიათად გამჭირვებია სათქმელის ფურცელზე გადატანა ისე, როგორც ახლა... ეს ალბათ იმ გაუნელებელი ტკივილის బრალია, ბატონი ბესიკის მოულოდნელად წასვლამ რომ დაგვიტოვა.

მუდამ საოცრად თბილი და მოსიყვარულე, ამავე დროს, სიტყვაძუნწი და თავდაჭერილი საკუთარი გრძნობების გამოხატვისას. ასეთი იყო ბატონი ბესიკი. მისი ხასიათის ეს შტრიხი ჩვენც უაღრესი მოკრძალებით განგვაწყობდა მის მიმართ. პედაგოგისადმი პატრივისცემისა და სიყვარულის უმთავრეს დასტურად ბატონ ბესიკს ბეჯითი და პატიოსანი შრომა მიაჩნდა.

დაუვიწყარია მისი ლექციები. ქართული ენის გრამატიკა ყოველთვის მაინტერესებდა, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, ასეთი პოეტური აღმაფრენით თუ შეიძლებოდა საუბარი ბრუნვის ნიშნებსა თუ ზმნის ფორმებზე. ბატონი ბესიკის ყოველი ლექცია – ეს იყო მრავალგზის ნასწავლის სრულიად ახლებურად დანახვა და გააზრება.

თურმე როცა ვანო სარაჯიშვილი გარდაიცვალა, კვლავ დადგეს „აბესალომ და ეთერი", სადაც ვანოს ნაცვლად სინათლე მოძრაობდა სცენაზე.

თქვენი სულიც იმ მოძრავ სინათლესა ჰგავს, ბატონო ბესიკ. იგი მუდამ ჩვენ შორისაა, ხოლო თქვენი ალერსიანი ხმა გამუდმებით გვავსებს საოცარი სითბოთი და სიყვარულით.

**ნანა ურთაშვილი**



# სულხან-საბას ერთი არაკის სათქმელი

სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“ არაკში „ძალა ერთობისა“ მეფე ფინეზს აუქმევინებს:

„სიკვდილის წინ ერთმა დიდებულმა მოიხმო თავისი ოცდაათი ვაჟი, მოატანინა ოცდაათი ისარი, შეკრა და მათ გადატეხას შეეცადა. მაგრამ ერთად ვერ გატეხა. ცალ-ცალკე კი ყველა დალეწა. მამამ შვილებს მიმართა: „თუცა ერთად ხართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ვერა ვერ გაგტეხსთ,ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწონ მტერმან თავიცა მოსთხარონ და მოყვარეცა“.

„ძალა ერთობისას“ მორალი, ძირითადი სათქმელი, ორგვარად შეიძლება განიმარტოს: მეფისათვის (ანუ სულხან-საბასთვის) მნიშვნელოვანია არა მარტო ოჯახის, არამედ საზოგადოდ ქვეყნისა და ერის ერთიანობა; ამავე დროს, არაკში ადამიანთა ერთობაზე, მხარდაჭერასა და სიყვარულზე მახვილდება ყურადღება.

„სიბრძნე სიცრუისას“ ყოველ არაკს ჩვეულებრივ, მოეპოვება ე.წ. საინტერპრეტაციო ფონი, რაც ათვალსაჩინოებს ავტორის სათქმელს. „ძალა ერთობისას“ ამგვარი ფონია უფლისწულ ჯუმბერის აღმზრდელის– ლეონის – შეგონებანი მეფის მოვალეობაზე, რაც წინ უსწრებს ამ არაკს. სწორედ ლეონის შეგონებების საპასუხოდ უამბობს ფინეზი „ძალა ერთობისას“ სამეფო კარზე მყოფთ. დაასრულებს თუ არა შეგონებებს ლეონი, დასძენს: „ესე არს წესი მეფეთა, ესე არს საბრძვარი თემთა, ესე არს გოდოლი სპათა, ესე არს ზღუდე ქალაქთა! რომელმან ჰყოს იგი და ქვეყანა მისი დაემყაროს“ (ხაზი ჩემია – მ.ღ.). მეფე ფინეზი კი არაკის დამთავრების შემდეგ ყველას გასაგონად შენიშნავს: „თქვენი სიტყვა თუცა ერთი იყოს, დაემყაროს (ხაზი ჩემია – მ.ღ.) მეფობა ჩემი“.

აღვილად შესამჩნევია, რომ სიტყვა „დაემყაროს“ კრავს, ამთლიანებს „ძალა ერთობისას“ აღნიშნულ ფონს. საქართველოს „დამყარება“ იყო სულხან-საბა ორბელიანის სანუკვარი ოცნება. მაგრამ როგორ, რა გზით უნდა „დამყარებულიყო“ ჩვენი ქვეყანა? პასუხს ამ შეკითხვაზე თხზულებაში გვთავაზობენ მომავალი მეფის აღმზრდელი და თავად მეფე: ლეონის აზრით, ქვეყნის განმტკიცებაში უდიდესია წილი მეფისა, „კეთილი მწყემსისა“. ფინეზის შეხედულებით კი არანაკლებია მეფის გვერდით მყოფთა ღვაწლი, იმათი, ვისაც ქვეყნის დაყენებაც შეუძლიათ და წახდომაც“.

ასე რომ, „ძალა ერთობისას“ საინტერპრეტაციო ფონის წინახედს შეადგენს ლეონის შეგონებანი მეფეზე, მომდევნო ხედი კი მეფის შეგონებანია ვაზირებზე. „ვაზირთა წესს“ მეფე ფინეზი მრავალმნიშვნელოვნად დაურთავს: „ვაზირი პატრონისა და ქვეყნის სამჯობინაროს მდგომი უნდა იყოს“. ეს სიტყვები მხოლოდ ვაზირთა გასაგონად არ აქვს ნათქვამი სულხან-საბას. კითხულობ ლეონის შეგონებებს, „ძალა ერთობისას“, მეფე ფინეზის შეგონებებს, და თითქოს ცოცხლდება ეპიზოდები დიდებული აღმზრდელ-აღზრდილის – სულხან-საბას და მეფე ვახტანგის – ცხოვრებიდან. თითქოს შემოგესმის დიდი, დარბაისლური საუბარი სამშობლოს ბედზე ღრმად დაფიქრებული ორი ქართველისა, რომელთაგან ერთი მეფეს აქებს მართლმორწმუნეობას, კაცთმოყვარეობას, სამართლიანობას.. მეორე კი შეახსენებს თანამოსაუბრეს, რომ მარტო მეფე ვერას გახდება, თუკი მას კეთილგონიერი მამულიშვილები არ დაუდგებიან გვერდით..

„სიბრძნე სიცრუისაში“ სწორედ აღმზრდელი და მეფე გამოხატავენ ავტორის ეროვნულ განცდებს. ქართველ მეიგავეს მეტად ფრთხილად, ფაქიზად ჩაუწნავს თხზულების სიუჟეტურ ქსოვილში საკუთარი ეროვნული სულისკვეთება. ცნობილია, რომ იგავარაკული ჟანრის ნაწარმოების საგანი ადამიანის ზნეობა და მორალია. ნაკლებად ან თითქმის საერთოდ არ გამოიხატება ავტორის ეროვნული მრწამსი. არაკი „ძალა ერთობისა“ ამ მხრივ არის გამორჩეული.

**მედეა ღლონტი**



# ადიღელი ხალხის ღირსეული შვილი

**1998 წლის 19 თებერვალს გარდაიცვალა გამოჩენილი ადიღელი ენათმეცნიერი ზეინაბ იბრაგიმის ასული კერაშევა**

ამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ადიღეურმა ენათმეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალნენ ადიღეური და ყაბარდოული ენების ისეთი ცნობილი მკვლევრები, როგორიც იყვნენ ბორის ბალყაროვი, პეტრე ბაღოვი, ალი კასოვი, ხაზრეთ დაუროვი და მისი მეუღლე ზეინაბ კერაშევა. ქართველ ენათმეცნიერებს მათთან ყოველთვის კეთილი დამოკიდებულება და საქმიანი თანამშრომლობა, ურთიერთპატივისცემა ჰქონდათ.

ზეინაბ კერაშევა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ბოლო ტკივილია. იგი გამორჩეული პიროვნება იყო, ადიღელი ხალხის ღირსეული შვილი, ხალხურ ტრადიციებზე აღზრდილი და ამ ტრადიციების შემნახველი და მათი დამცველი, საქართველოსა და ქართველი ხალხის, მისი ინტელიგენციის გულწრფელი და ერთგული მეგობარი, ადიღეური ენების გამოჩენილი მკვლევარი,მშობლიური ადიღეური ენისა და კულტურის დიდი მოამაგე და მისი მფარველი.

ზ. კერაშევას მეცნიერული მემკვიდრეობის სრული შესწავლა მომავლის საქმეა. აქ მხოლოდ ორ შრომას დავასახელებ – ესაა ადიღეური ენის აკადემიური გრამატიკა (გ. როგავასთან ერთად) და ადიღეური ენის განმარტებითი ლექსიკონი (ა. ხატანოვთან თანაავტორობით). ეს ორი ნაშრომიც საკმარისი იქნებოდა თავისი ხალხისა და საერთოდ იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წინაშე ზ. კერაშევას მეცნიერული ღვაწლის განსადიდებლად. ამგვარი შრომების არსებობა იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებაში უკვე მოწმობს ამ ენის შესწავლის მაღალ მეცნიერულ დონეს. და ეს დონე მნიშვნელოვანწილად არის განპირობებული ზ. კერაშევას შრომების მეოხებით.

ბრძენი ქალი იყო, სულით ხორცამდე ინტელიგენტი: დახვეწილი არისტოკრატი, ამ სიტყვის კარგი გაგებით. ყოველთვის იცოდა რა ეთქვა, როდის ეთქვა და როგორ ეთქვა. მისი აქცენტები ფაქტებზე, მოვლენებზე, ინტერპრეტაციებზე – იქნებოდა ეს სამეცნიერო მოხსენება, მსჯელობა-კამათი თუ სუფრაზე წარმოთქმული სადღეგრძელო – ყოველთვის ზუსტი იყო და ტევადი. მართებული და სამართლიანი და ამას აკეთებდა ყოველთვის დიდი ტაქტითა და კეთილგანწყობილებით, თუმცა მკაცრი იყო და შეუვალი, მტკიცე ხასიათისა, მაგრამ ამავე დროს საოცრად პოეტური, ნაზი და მიმტევებელი. გვიყვარდა და პატივს ვცემდით.

მე წილად მხვდა ბედნიერება, წლების მანძილზე მასთან მქონოდა საქმიანი და არა მხოლოდ საქმიანი, წმინდა ადამიანური ურთიერთობები. მე უშუალოდ მოწმე ვარ იმ დიდი ენერგიისა და დიდი ორგანიზატორული ნიჭისა, რაც მან გამოიჩინა იბერიულ-კავკასიურ ენათა რეგიონალური სესიისა და ევროპის კავკასიოლოგთა საზოგადოების კოლოკვიუმის ჩატარების დროს. კავკასიოლოგთა ორივე ეს დიდი შეხვედრა მაიკოპში ჩატარდა და მისი სულის ჩამდგმელი ზეინაბ კერაშევა იყო.

საოცრად კეთილგანწყობილი იყო ადამიანების მიმართ. აქ უნდა ერთი თბილისური ქართული ოჯახი გავიხსენო, სადაც სუფრა ისე არ გაიშლებოდა, რომ ზეინაბ კერაშევასა და მისი ოჯახის სადღეგრძელო არ დალეულიყო. ეს იყო ოჯახი ალექსი თოფურიასი, რომელიც თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ მაიკოპში იქნა გაგზავნილი და იქ კარგა ხანს მუშაობდა რომელიღაც მეტალურგიულ კომბინატში. მაიკოპში ცხოვრებამ იგი შემთხვევით ზ. კერაშევას შეახვედრა. ეს შემთხვევითობა შემდეგ მეგობრობად გადაიზარდა. ამ ოჯახმა დიდი ყურადღება და სითბო გამოიჩინა უცხოობაში მყოფი ქართველისადმი, და მას მარტოობის სიმძიმე შეუმსუბუქა. ამ კაცის ლოცვა დიდხანს გაჰყვებოდა ზეინაბ კერაშევას ოჯახს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ქართველიც აღარ არის ჩვენს შორის...

**ზურაბ თოფურია**

დიდი დარბაზი ეჭირა „პარიზის აღმოსავლეთის საზოგადოებას“. ქანამ და სელიმმა დარბაზის კუთხეში დაიკავეს ადგილები.

– სიტყვა მოხსენებისათვის ეძლევა ახალგაზრდა მკვლევარს – მარი ბროსეს! – გამოაცხადა პროფესორმა სენ-მარტინმა.

ტრიბუნასთან ახალგაზრდა მივიდა.

– ჩემი მოხსენების თემა,– თქვა ახალგაზრდა მეცნიერმა, ასეთია: „ეტა აქტუელ დე ლა ლიტერატურ ჟორჟიენ“.

– სენ-მარტინმა გვითხრა,– წაიჩურჩულა ქანამ სელიმს,– ჟორჟია შორეული აზიური ქვეყანაა.

– არ მესმის.

### გიზო ქელიძე

# ნახეს უცხო...

## (ნამცვრევი)

ახალგაზრდა მეცნიერი გატაცებით ლაპარაკობდა „ჟორჟიაზე“, მის მწერლობაზე. ბოლოს ორატორმა განაცხადა:

– ნება მიბოძეთ, წაგიკითხოთ ჩემს მიერ თარგმნილი სტროფები პოემიდან: „ლე შევალიე ა ლა პო დე ტიგრ“.

დარბაზი გაიტრუნა. ახალგაზრდა მეცნიერმა ფრანგული ენის სიტკბოებით წაიკითხა მოზრდილი სტროფი იგრიალა ტაშმა. დარბაზმა განმეორებით მოითხოვა სტროფების წაკითხვა. მომხსენებელი გაიბადრა და მთელი რიხით დაიწყო.

დარბაზს გაკვირვების ტალღამ გადაუარა. მაგრამ უცებ გაიტრუნა მეცნიერი იმავე სტროფებს ორიგინალში კითხულობდა:

ნახეს უცხო მოყმე ვინმე,
ჯდა მტირალი წყლისა პირსა.
შავი ცხენი.

ორატორი შებორძიკდა. მომდევნო სტრიქონები დაავიწყდა. შეჭრდა, შეყოყმანდა, ქაღალდებში დაიწყო ქექვა, მაგრამ იგრიალა ტაშმა... „ეს მერვეი!“ „ეს მანიფიკ!“ – გაისმა მოწონების ხმები.

ახალგაზრდა მეცნიერმა გააგრძელა მოხსენება.

„პარიზის სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა 1828 წლის 29 აპრილს პოეზიის „ახალი ქვეყანა“ აღმოაჩინეს – საქართველო!

სელიმი, ლოგინზე გაუხდელად მიგდებული, ვიწრო ოთახის ჭერს მიშტერებოდა. რაღაც წერტილს ეძებდა ჭერზე სხვა დროსაც შეუხედავს სელიმს ამ ჭერისთვის. მაგრამ ისე, უბრალოდ. ახლა კი უცქერდა, როგორც სამყაროს, როგორც ქვეყნიერებას. სადაა ნეტავ ის წერტილი? სხვა დროს რატომ არ უძებნია სელიმს „რაღაც“ წერტილი. ღმერთო, რა ბზრიალებს თავში, რა ტრიალებს გულში? რატომ იმეორებს ენა: „ნახეს უცხო“... „ნახეს უცხო“... ან კი სხვა სიტყვები რად არ წაუშლის ამ ორ სიტყვას.

„ნახეს უცხო“... – ჩურჩულებს ვიღაც. სელიმის ყურთან ჩაცუცქულა. სელიმი უფრო ჟინიანად უცქერის ჭერს. წერტილი! თითქოს მიაგნო სელიმმა წერტილს. აგერ, ქვეყნიერების მარჯვენა კუთხეში... არა, წერტილი კი არა, რაღაც უფრო დიდია, წერტილი კი არა, აღმასახია, აღმასახი! აი, გამოდის წერტილიდან აღმასახი. პირდაპირ სელიმისკენ მოდის. მოდის და ამბობს: „ნახეს უცხო“. „ნახეს უცხო მოყმე“... „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“...

– დედააა! – იბღავლა სელიმმა.

აღარც კი ახსოვს, ეს სიტყვა როდის დაიძახა უკანასკნელად. ზეზე წამოიჭრა...

– პუი ჟე ანტრე?[1] – იკითხა ვიღაცამ ნახევრად ღია კარებთან.

– ანტრე ს'ილ ვუ პლე![2] – უპასუხა ახალგაზრდა მეცნიერმა და მაგიდას მოშორდა.

ოთახში სელიმი შევიდა.

– ჟ'ე ვუ დემანდ ა ვუ-ადრესსე![3] – თქვა სელიმმა.

– ჟე ტე პრი![4]

სელიმი წინ დაუდგა ახალგაზრდა მეცნიერს.

– ჟე ტე პრი, ჟე ტე პრი! – გაიმეორა მასპინძელმა

სელიმი წელში გასწორდა და...

– „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა.
შავი ცხენი სადავითა ჰყვა
ლომსა და ვითა გმირსა...“

ახალგაზრდა მეცნიერი შეტოკდა.

– ვინ ბრძანდებით? – ქართულადვე წამოიძახა თვალებგაბრწყინებულმა.

სელიმი კანკალებდა

– ვინა ხართ-მეთქი?

– ბურბონთა კოლეჯური სასწავლებლის მსმენელი, – უპასუხა სელიმმა.

– ქართული ლექსი ვინდა გასწავლათ?

– დედამ.

– როგორ თუ დედამ, თქვენ ხომ ეგვიპტელი ხართ?

– ქართველი!

– ქართველი?

– დიახ... იოსებ წილოსანი, ამტკიცა სელიმი.

– ჩემთან რამ მოგიყვანათ.

– თქვენს მოხსენებას მოვუსმინე გუშინ „აღმოსავლეთის საზოგადოებაში“. ქართული ლექსი წაიკითხეთ! – სელიმმა გულის ჯიბიდან მოკეცილ-მოკეცილი ქაღალდი ამოიღო და ბროსეს გაუწოდა.

– ეს რაღაა?

– დედის წერილი საქართველოდან. მთელი თვეა, ჯიბით დავატარებ.

– რას გწერთ დედა?

– აბა, რა გითხრათ, მე ხომ ქართული ანბანი არ ვიცი.

ბროსემ წერილი ჩამოართვა, გაშალა. მთელი მონდომებით ჩასდია წერილებივით გაბმულ ასოებს, ჯერ ბუტბუტით ჩაიკითხა, მერე თავიდან ჩაყვა. ისევ გაუჭირდა სიტყვების ამოკითხვა. ბოლოს, როგორც იქნა, გამართა...

„ჩემო დიდათ საიმედო მისაჩნდელო, თუ ხარ ცოცხალი, შვილო... იუსიკაჟ! მოგახსენებ საწყალი... მტირალი და თვალდაშრეტილი დედაშენი, ურუშაძის ქალი მარიამ. მრავალს ტკბილს მოკითხვასა, შენს სიცოცხლის გაგონებას, მშვიდობით ყოფნასა და შენი ქორწილის კოცნას მოგახსენებ. შვილო ჩემო, საყვარელო! თუ ცოცხალი ხარ და შენს ნახულავს წიგნს გამოგზავნი, იმით შევიტყობ შენს სიცოცხლეს. ჯერეთ შენი ამბავი არც წიგნით მომსვლია და არც პირით. ათასი დაიკარგენ. შვილო, მარა წიგნი კი გამობრუნებს თავის ქვეყანაში... ერთი შენი წიგნი რომ მომსვლოდა, შენდა ნახვად ჩავაგდებდი...“

სელიმი მუხლებზე დაეცა.

ბედის ირონია! – საკუთარი დედის წერილს უცხოელი უკი-

1. შეიძლება შემოვიდე
2. შემობრძანდით, გეთაყვა.
3. თხოვნა მაქვს თქვენთან.
4. გთხოვთ!

თხავდა და უთარგმნიდა ქართველ ჭაბუკს.

მარი ბროსეს, რომ იტყვიან, ბურთი მოსწოლოდა ყელში.. რაღაც ძალიან უხაროდა და სევდასაც შეეპყრო.. წერილს თვალს ვეღარ აშორებდა.

...1812 წლის ერთ მშვენიერ საღამოს ლანჩხუთელი ლაზარე წილოსანის ოჯახს საშინელი უბედურება დაატყდა თავს, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო, მოულოდნელად გაუჩინარდა რვა წლის პატარა იოსები. აწრიალდა სოფელი, ფეხზე დადგა დიდი და პატარა, გზა და შუკები შეკრეს მდევრებმა, მაგრამ ამაოდ. ბიჭის კვალს ვერ მიაგნეს.

...როცა გაუბედურებული დედ-მამა და ახლობლები მკერდში სიმწრით მუშტებს იცემდნენ, ფოთის ნავსადგურში ციხის უფროსი, ვინმე ალი-ბეგ-აღა, პატარა იოსების საფასურში აღებულ ფულს ითვლიდა.

- ყველანი გემზე! - გაისმა გემის გამყოლის, წითელწვერა ალი-აღას შემზარავი ხმა.. ატირდა უმწეო ქართველი გოგო-ბიჭი.

სტამბოლი!

გემი ღრმად უშვებს ღუზას და ამ მრავალი საოცრების მნახველი ქალაქის მადაგახსნილი ბაზარი იღებს აუწონელ ცოცხალ ქართულ თვალმარგალიტს.

- ეს ორი ბიჭი გემზე დარჩეს. ისინი ეგვიპტის ფაშის ფეშქაშია.- ამბობს გემბანზე გამოსული წითელწვერა თათარი და ერთ თმახუჭუჭა ლამაზ ბიჭზე და იოსებზე მიუთითებს.

გემი კაიროსაკენ აიღებს გეზს.

- მე სურაყელან ვარ, შენ?- ეკითხება ცრემლმორეული თმახუჭუჭა ბიჭუნა იოსებს.

- მე ლანჩხუთიდან- გულამოსკვნით უპასუხებს იოსები.

...მიდის გემი. ბიჭები შეეჩვივნენ ერთმანეთს. აი, კაიროც. წითელწვერა თათრის სიხარულს საზღვარი არა აქვს- მას ხომ დიდი ჯილდო და პატივი მოელის ფაშა აჰმედ-აბად-ალისაგან ასეთი მშვენიერი ბიჭებისათვის.

უსაზღვროდ მოეწონა ფაშას ქართველი ბიჭები და კმაყოფილებით გადახედა დამსწრეთ.

- დიდო ფაშავ, აჰმედ-მამედ-ალის წინაშე წარსდგა ეგვიპტეში სიმდიდრით და სიკეთით განთქმული მირახორ-მამედ-აღა,- თქვენც მოგეხსენებათ, რომ ალაჰმა, მაღალი არის იგი, ვაჟი არ მომცა.. მე მომწონს ეს ბიჭები. მიიღეთ საფასური და დამითმეთ ერთ-ერთი.

ბიჭებმა იგრძნეს, რომ მათზე იყო ლაპარაკი. ისიც იგრძნეს, რომ ლევდებოდა მათი სამუდამოდ დაშორების წუთები.. აღრიალდნენ. ფაშას გულის სიღრმეში რაღაც შეეტოკა. ჩაფიქრდა და თქვა:

- ამიერიდან ეს ბიჭები ერთმანეთს აღარ დაშორდებიან.

- მე ორი ვაჟის მამობაც შემიძლია! - კვლავ წარსდგა ფაშას წინაშე მდიდარი კაცი.

და 1812 წლის შემოდგომაზე კაიროს მრავალრიცხოვან მოქალაქეთა სიას ორი წევრიც შეემატა:

ასე იქცნენ ქართველი ბიჭები სულეიმან და ალი-აბადად.

გადიოდა წლები. ბიჭებმა მამასავით შეიყვარეს მამობილი. მამობილმა შვილებივით შეიყვარა ბიჭები.

ჭკვიანი მამობილი ბიჭებს სწავლის ნიჭსა და წყურვილს ატყობდა და ყოველმხრივ ცდილობდა, შესაფერისად აღეზარდა ისინი. ჯერ მასწავლებლები დაუნიშნა, მერე კაიროს სამხედრო სასწავლებელში ჩარიცხა. ბიჭების სიბეჯითის ამბავმა ფაშას ყურამდეც მიაღწია. დაიწყო ახალი ხანა ბედმოშლილი პატარა ქართველების ცხოვრებაში...

- ჩემი სურვილი სამხედრო ხელოვნების შესწავლა იყო, მაგრამ მამობილმა და ფაშამ ასე ისურვეს - ბურბონთა კოლეჯის სასწავლებელში გამომგზავნეს- აუხსნა სულიმმა ბროსეს.

- რას ფიქრობთ, როგორ გესახებათ მომავალი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ?

- დედაჩემის წერილმა და გუშინდელმა დღემ ყველაფერი შეცვალეს.

- როგორ?

- გუშინ ცნობა მოგვივიდა, მირახორი გარდაცვლილა.

- მამობილი?

- მე იმ კაცს, როგორც აღმზრდელს, პატივს ვცემდი, მიყვარდა, მაგრამ...

- ახლა?

-ის ცოცხალი აღარაა. მე ჩემს თავს ვეკუთვნი.

- არა! თქვენ მან თავის დროზე შეგისყიდათ, თქვენ მონა ხართ, სამართალი ასე მსჯელობს..

- მე ხელთა მაქვს საგანგებო სიგელი მირახორის ბოძებული, რომლითაც თავისუფალი ვარ მონობიდან.

- სიგელი?

- კიდევ მეტი. მე მის ქალიშვილზე დანიშნული ვარ და მისი ქონების ნაწილის მემკვიდრეც.

- ქონების პატრონი ყოფილხართ!

- ჩემი ქონება, აი, ესაა მხოლოდ.- დედის წერილზე მიუთითა.

- შენ და ეს წერილი აღმოჩენა ხართ ჩემთვის, თქვა ბროსემ და წერილი ისე სათუთად შეარხია, თითქოს ჯადოსნური ნიტი სჭეროდა ხელში და ფრთხილობდა, არ გამისხლტესო.- შენ პირველი ქართველი ხარ, ვისგანაც ჩამესმის აქამდე ოცნებად ქცეული და არსად მოსმენილი ცოცხალი ქართული სიტყვები. დედის წერილი ხომ განძია პირდაპირ. რამდენი ხანია ქართულ ხელნაწერ ტექსტს დავეძებ და დღეს ღმერთმა გამომიგზავნა.. ახლა კი, ჩემო სულიმ.

- გთხოვთ, იოსები დამიძახოთ.

- იცით, იოსებ, მე ქართულს ვსწავლობ. შევადგინე ქართულ-ფრანგული ლექსიკონიც. მარტო ვიკვლევ გზას ქართული საიდუმლოებისაკენ.. ახლა კი..

მასწავლეთ ქართული ანბანი. დედის წერილი მინდა წავიკითხო.

- სტუმარ-მასპინძელი მაგიდას მიუსხდა..

* * *

იოსები დაბრუნდა საქართველოში. ცხოვრობდა თბილისში, ვერის უბნის მიდამოებში; მიაღწია პოლკოვნიკის ჩინამდე. ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას აღმოსავლეთმცოდნეობაში. შექმნა და გამოსცა აღმოსავლური ენების სახელმძღვანელოები (1856, 1862 წწ). აღებული თანხა საქველმოქმედო მამულიშვილურ საქმეს მოახმარა - აჭარელთა დედა-სამშობლოში დაბრუნების საქმეს შეწირა. შექმნა ოჯახი. ჰყავდა შთამომავლობაც.

ცნობილია, რომ არსებობდა არჩევანიძის უაღრესად საინტერესო ბიოგრაფიული ნარკვევი აგებული იოსებ წილოსანის საარქივო დოკუმენტებით, რომელიც, ამჟამად, დაკარგულად ითვლება. ცნობილია აგრეთვე, პროფ. სოლომონ ხუციშვილისა და დოც. ამირან ავალიანის საგაზეთო წერილები, და ამ უკანასკნელის მიერ მ. ბროსეს არქივში აღმოჩენილი დედის უნიკალური წერილი, მაგრამ არ ვიცით, რა გზით მიიღო დედის წერილი იოსებმა, რა ბედი ეწია მეორე ქართველ ჭაბუკს, როგორ გაგრძელდა იოსების ურთიერთობა მარი ბროსესთან საქართველოში და ასე შემდეგ..

მაგრამ ძალუმად იგრძნობა სანთელ-საკმევლის სურნელი, გვჯერა, ყველაფერი გაირკვევა.

დაველოდოთ!

საქართველოს ბიბლიოთეკა

ზაზა ცოტნიაშვილი

# ზოგიერთი მხატვრული სახე თანამედროვე ქართულ ნოველაში

ვრცელი ჟანრის ნაწარმოებისგან განსხვავებით ნოველაში იშვიათად გვხვდება პერსონაჟის ჩამოყალიბებული პორტრეტი. აქ სახის გამოძერწვისას დატვირთვა გადატანილია დიალოგზე, რემარკაზე, რეპლიკაზე. თანამედროვე ნოველა ამ თვალსაზრისით გვთავაზობს პერსონაჟთა პორტრეტების შექმნის საინტერესო ნიმუშებს. მათი ძირითადი სპეციფიკა მოკლე, სხარტი ფრაზებით პორტრეტის მნიშვნელოვანი კონტურების შექმნაში მდგომარეობს, ხოლო ავტორის ოსტატობაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სრულყოფილად აღიქვამს მკითხველი ტილოზე გადმოტანილ ხაზებს. სწორედ ხაზებს შორის კავშირშია მოცემული ნოველისტის სათქმელის დედაარსი.

"ყველგან ამოიწვევდა ხოლმე ყვავებს, პროფესიული სადისტები, მკვლელები. მუდამ ხოხით რომ ამოდის მათგან, როგორც რომ კვამლი ახლადგამოღვიძებულ ვულკანიდან. თავისთავის აქვთ დამტკიცებული მთელი ეს ქვეყანა. მრისხანების ლობე აქვს შემოვლებული მათ მაღლობს" (რ. ინანიშვილი) დამოწმებული ციტატა ერთი პერსონაჟის პორტრეტის მახვილით იძლევა მისი კატეგორიის ადამიანთა ზოგად ხასიათს. ამ შემთხვევაში, ავტორი უარყოფით მოქმედ პირთა ფსიქოლოგიურ განწყობილებას გვთავაზობს. მხოლოდ ვულკანის ამოცაცა უარყოფით ემოციებს აძლიერებს, მკითხველში ჩნდება ანტიპათიური გრძნობა ასეთი კატეგორიის პერსონაჟთა მიმართ, რადგან ჰუმანისტი მწერლის მიერ დახასიათებული არაჰუმანური ურთიერთობანი მკაფიო სახეს იძენს, რომელსაც ფარდა ეხდება ანტიადამიანური პოზიციის ძირითად იარაღს: „რაშია მათი ძალა? დაუნდობლობაში, თავზარსა სცემენ ყველას". მახინჯი სინამდვილის ერთბაშად გაცხადება დიდ ეფექტს ახდენს მკითხველზე.

ნოველაში „გაფრენილი ალავა" რ. ჭეიშვილი ქმნის მტკიცე ხასიათის, შეუვალი სიმტკიცის პიროვნების - ალკალდეს სახეს, რომლის გარეგანი, ვიზუალურად აღსაქმელი გარეგნობა მის მწყობრ სულიერ აღნაგობას შეეხამება: „ქალაქის მერი ალკალდე ხმელი, მაღალი, შავხანს მიტანებული მამაკაცი. წინასწარ შეხვედრებში გული არ აჩუილებია და ქართველებისა და ბასკების სისხლის ნათესაობაზე თუ რამე იცოდა, არ დატყობია. შავი კოსტუმით და ბაფთით შემკული ოფიციალურ მიღებაზე მერიაში, გაფრენილ ალავას ხსენების დღეს მკაცრი გამომეტყველების, სიტყვაძუნწი ალკალდე შეიძლება ჩამოჰგავს კიდეც გაფრენილ ალავას". წარსულის სილიადის თანამედროვე სახეში აღქმა რ. ინანიშვილის „ოქროს პერანგშიც" გვხვდება: როცა გვთავაზობს თანამედროვე ახალგაზრდა პატრიოტის სიწმინდით განათებულ პორტრეტს, დასძენს, რომ მასში „სადღაც იგუნჯებოდა ვარამ გაგელის სული". ეს მხატვრული ხერხი ერთგვარი ხასიათის ძირითადი ხაზის გამოკვეთის საყურადღებო საშუალებად გვევლინება თანამედროვე ქართულ ნოველაში.

სხარტ ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ სურათს გვთავაზობს რ. მიშველაძე მოსაუბრე წყვილის აღწერით, დამუხტული ფრაზები ტიპიური ნოველური ხასიათის მატარებელნი არიან: „ლომისთავიან მოაჯირთან ირიბთვალება, წითელტუჩა დამაზი ქალი გრძელცხვირა მოხარხარე, მაგრამ პალსტუხიან მამაკაცს მწყრალად ასცქეროდა". ან „სიცილი მოუვდა ყაყასცხვირამ". მოკლედ, მაგრამ ერთობ ტევადი წინადადებით გამოკვეთილია პერსონაჟის ხასიათის მნიშვნელოვანი შტრიხები.

„კიბეზე ასკინკილით ამორბოდა ახალდამტკიცებული, სათვალიანი თავგადასავლი მინისტრი. მინისტრს კენგურუს ნახტომებით მისდევდა გალიფეშარვლიანი, იქვრულქედა, ულვაშცოცხა ყოჩაღი მოხუცი" (რ. მიშველაძე). მოქმედების განვითარების შეკვრების გარეშე ხდება პერსონაჟთა სახის დეტალების შემოტანა, რაც ოსტატობას საინტერესოს ხდის, ხოლო განვითარებულ მოვლენათა მსვლელობა, ხელახლა უკვე ნაცნობი ხასიათის მოქმედ პირთა მონაწილეობით მეტ ინტერესს იწვევს.

ნ. შატაიძის წერის მანერისთვის დამახასიათებელია ასოციაციით აღძრული სასიამოვნო თუ უსიამოვნო მოგონების წარმოჩენა, განსაკუთრებით საინტერესოა ასეთი მხატვრული ხერხით შექმნილი სახე. იგი თავად წერს: „როგორც ფოტოქაღალდზე, ისე ამოდის ვიღაცის სახე". გვიპყრობს ახლობელი ადამიანის ასეთი გაცხადება: „გაახსენდა მისი მორცხვი ღიმილი, შეკრთალი თვალები... ატმის ყვავილისფრად შეფაკლული ლოყები. გაახსენდა, როგორ დადიოდა, როგორ ლაპარაკობდა, შუბლზე ჩამოშლილ თმას როგორ ისწორებდა ხელით..." ერთი პერსონაჟის მიერ მეორე პერსონაჟის წარმოსახვა გარეგნული ფორმით ხდება, ამავე დროს მის მიღმა საგრძნობია დიდი ადამიანური სითბო და სიყვარული. აღწერილ პორტრეტში უპირველესად ამაღლებული სულის გაცხადებაა მნიშვნელოვანი, რადგან ადამიანში უმთავრესი მისი შინაგანი მდგომარეობაა.

თ. თოხვლიანის მიერ შექმნილი ბიჭის პორტრეტი ორიგინალური მხატვრული წარმოსახვითაა ჩამოყალიბებული. დეტალების ზღვარზე მდგომი ასე გამოიყურება: „ბიჭს ტანი კი ეყარა, მაგრამ თითქოს ჰაერგაუმაგრებლად. მეტყობა, რომ გაიზარდა, არ გატყდებოდა, მაგრამ გადაიღუნებოდა, ლორთქოდ ნაზარდი იყო ნაძვზე ამოსული [illegible]".

თ. თოხვლიანს, თანამედროვე სისხლისღვრის მტკივნეული განცდა, იმის მახინჯ სახეს, მძაფრი რეალიზმით აღწერს, ნორჩი სიცოცხლის ხელმყოფელი ბოროტი ძალა ქაოსსა და ნგრევას იწვევს, მას მიზანმიმართულად იყენებს მხატვრული ზრახვების აღსასრულებლად: „სადღაც ომია, აქ არავის და არაფრის პატრონი არ ჰყავს. ომი იმისთვისაა, რომ ყველაფერი პარტახად იქცეს და მერე გაპარტახებულს ვინმე დაეპატრონოს".

ანბანური დამწერლობის შექმნა რთული ევოლუციის შედეგია. პირველად ანბანური დამწერლობა შექმნეს ბერძნებმა (ძვ. წ. აღ-მდე X-IX საუკუნეებში). ბერძნული დამწერლობა ეფუძნება სემიტურს, მაგრამ სემიტური დამწერლობა კონსონანტურ-სილაბურია და არა ანბანური, როგორც ჩვენ ბერძნულის შემთხვევაში გვაქვს. ჩვენთვის ცნობილი ანბანური დამწერლობები არსებითად ბერძნულისაგან მომდინარეობს.

რას ნიშნავს, ერთი დამწერლობა მომდინარეობს მეორისაგან? უნდა ვივარაუდოთ, რომ ამა თუ იმ დამწერლობის შემოქმედი გარკვეული ნიმუშის, პროტოტიპის მიხედვით ქმნის ახალ დამწერლობას. სწორედ ასეთი პროტოტიპი იყო ბერძნული ბევრი დამწერლობისათვის.

## ირინა დემეტრაძე

# ზოგი რამ დამწერლობის შესახებ

**(წერილი მეორე)**

რას ნიშნავს დამწერლობის შექმნა?

როდესაც გარკვეული ენისათვის დამწერლობა იქმნება, ეს მხოლოდ ნიშნების შერჩევა კი არ არის, არამედ გულისხმობს ენის რთულ და ღრმა ლინგვისტურ ანალიზს, მის დანაწევრებას ბგერებად, რათა ეს ბგერები გრაფიკულად გამოიხატოს რაღაც სიმბოლოების საშუალებით. გაბმული მეტყველების ბგერებად დანაწილება ძალზე რთული პროცესია, რომელიც ენის ღრმა ლინგვისტურ ანალიზს მოითხოვს და ჩვენ დღეს ეს მარტივად გვეჩვენება, რადგან ამ ტექნიკას უკვე ვფლობთ.

როგორ ხდება ბგერებად დანაწევრება?

ნიმუშად აღებულია რაღაც სისტემა, ანბანური, მაგ. ბერძნული, სადაც მოცემულია სიმბოლოები გარკვეული თანმიმდევრობით და ისინი გამოხატავენ გარკვეულ ბგერებს ბერძნულში. ახალი დამწერლობის შემქმნელი გაიაზრებს ნიმუშად აღებული სისტემის ბგერით მნიშვნელობებს და ფონეტიკური ანალოგიის საფუძველზე თავის ენაშიც გამოყოფს სათანადო ბგერებს. შემდეგ დარჩა ბგერების განსხვავებული რაოდენობა, ის დარჩენილ ნაწილს სხვა სისტემის მეთოდით გამოყოფს და დაერთვის იმ ნაწილს, რომელიც განწყობილია პროტოტიპული სისტემის მიხედვით. დამწერლობის წარმომავლობა გაირკვევა იმ შემთხვევაში, თუ დავადგენთ, ბგერათრიგის თვალსაზრისით რომელ ადრინდელ სისტემას ეფუძნება მოცემული სისტემა.

ქართული ასომთავრული ბერძნულს ეფუძნება იმ ძირითად ნაწილში, რომელიც ამოწურავს ბერძნულის მნიშვნელობებს, ხოლო ის ბგერები, რომლებიც ბერძნულში არ გვაქვს, ქართულისაგან განსხვავებით, ქმნის ქართული ანბანის დამატებით ნაწილს.

ყველაზე უძველესი ქართული წარწერა ქრისტიანული ხანისაა, ხოლო წინარე ხანის წარწერები არამეული ან ბერძნულია. აქედან თამაზ გამყრელიძე ვარაუდობს, რომ ქართული ასომთავრული არის ქრისტიანული ხანის დამწერლობა, რომელიც შექმნილია ქრისტიანობის მიღების შემდეგ სპეციალურად ქრისტიანული წიგნების სათარგმნელად.

ადრექრისტიანულ ხანაში, განსაკუთრებით კი აღმოსავლურ ქრისტიანულ ეკლესიაში, ხალხი, რომელიც ქრისტიანობას ეზიარებოდა, თავის დამწერლობას ქმნიდა, განსხვავებით რომაული ეკლესიისაგან, რომელიც ქრისტიანობას ლათინური ენის საფუძველზე ავრცელებდა. დასავლურ ენებზე არ შეიძლებოდა წიგნის თარგმნა. ამით აიხსნება ის, რომ დასავლეთ ევროპაში ქრისტიანობის მიღების შემდეგ დამწერლობის შემოღების დროს ლათინური საფუძველი იქმნებოდა. ბიბლიის თარგმნა ძალიან გვიან დაიწყო, რაც ეფუძნებოდა დასავლური ეკლესიის იდეოლოგიას, რომელიც მხოლოდ ბერძნულ, ლათინურ და ძველებრაულ ენებს ცნობდა ოფიციალურ ენებად. აღმოსავლური ეკლესია კი პირიქით, მიიჩნევდა, რომ ღმერთი ყველამ თავის მშობლიურ ენაზე უნდა ადიდოს.

ასომთავრულის შექმნის თარიღად ქრისტიანული რელიგიის მიღება ბუნებრივად სვამს კითხვას ქართული ასომთავრულის შემქმნელის შესახებ. ვინ იყო იგი? გუთური ანბანი შექმნა ულფილამ, სლავური – კირილემ, სომხური – მესროპ მაშტოცმა. ჩვენი ანბანის შემქმნელის სახელი კი უცნობია. სომხები ქართული ანბანის შექმნასაც მესროპს მიაწერენ. მაგრამ იმავე წყაროს მიხედვით ვიგებთ, რომ მან არ იცოდა ქართული ენა. ამდენად, იგი ვერ ჩაატარებდა ქართული ანბანის შექმნისათვის აუცილებელ ლინგვისტურ ანალიზს.

ისმის კითხვა: ვინ იყო ის ადამიანი, ვინც შექმნა ისეთი ქართული ანბანური სისტემა, რომ მას დღესაც არ სჭირდება სრულყოფა, განსხვავებით ბერძნულისაგან? ამ კითხვის პასუხი ჯერჯერობით უცნობია...

როგორ უნდა გვესმოდეს მტკიცება იმის შესახებ, რომ მწიგნობრობა შექმნილია მეფე ფარნავაზის დროს (III საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე)? არ არის აუცილებელი, ვფიქრობ, რომ აქ ასომთავრულია ნაგულისხმევი. თ. გამყრელიძის აზრით, ქართული ანბანის შინაგანი სტრუქტურა უტყუარად აჩვენებს მომდინარეობას ბერძნულისაგან. მისივე აზრით მწიგნობრობის ქვეშ იგულისხმება ალოგლოტოგრაფიის პრინციპი. ეს პრინციპი ძალზე გავრცელებული იყო ძველ ირანულ სამყაროში. ირკვევა, რომ ძველი სპარსული ტექსტები იწერებოდა არა სპარსულად, არამედ სხვა ენაზე ე.ი. კარნახობდნენ ძველ სპარსულ ტექსტს, თარჯიმანი წერდა მას სხვა ენაზე, რომელსაც დამწერლობა ჰქონდა, კერძოდ, ელამურ ენაზე. შემდეგში კი ტექსტი ამოიკითხებოდა ძველ სპარსულად. ელამური ამ შემთხვევაში იყო შუამავალი ენა. შემდგომში მისი ადგილი დაიკავა არამეულმა. სპარსული გადავიდა სპარსული სიტყვების წერაზე არამეული ნიშნების საშუალებით. ამიერკავკასიაში დასტურდება არამეული სპეციფიკური წარწერები, რომლებსაც გ. წერეთელმა „არმაზული" უწოდა. მაშასადამე, საკუთრივ დამწერლობის არქონა არ ნიშნავს წერის უცოდინარობას. ეს შეიძლება მოწმობდეს იმას, რომ აქ არის ალოგლოტოგრაფიის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ქართული ტექსტების ნაწერი ხდებოდა შუამავალ ენაზე (არამეულზე). ვფიქრობ, რომ შეიძლება ფარნავაზის მიერ სწორედ ეს სისტემა იქნა შემოღებული. მით უფრო, რომ ფარნავაზს დედა სპარსი ჰყავდა და კარგად იცნობდა ირანულ სამყაროს... არსებობს სხვაგვარი თვალსაზრისიც...

როგორიც არ უნდა ყოფილიყო ანბანის წარმოშობის დასაწყისი,- წერს ულფერდ ფანკე,- მან ჩვენამდე მოაღწია ფინიკიური, ლათინური და ბერძნული ენებიდან.

ლათინური დამწერლობა დასავლეთ ბერძნული დამწერლობისაგან მომდინარეობს. იგი საბერძნეთის დასავლეთის პე-

რომში იტალიაში გადმოსახლებულმა ბერძნებმა შემოიტანეს ამ ქვეყანაში. მისი ჩამოყალიბება დაიწყო ჩვენს წელთაღრიცხვამდე VIII-VII საუკუნეებში. ლათინური ანბანი ჯერ რომის იმპერიაში გავრცელდა. შემდეგ კი რომანულ-გერმანულ ხალხებს გადაეცა, როგორც სადვთისმეტყველო ენის ჩასაწერი საშუალება. უძველესი ლათინური ნაწერები გერმანულად, ძველინგლისურად და ირლანდიურად VIII საუკუნეს მიეკუთვნება.

ქართული ანბანის პირველი ორი ასოს სახელების, ანის და ბანის, შეერთებით მიღებულია სიტყვა „ანბანი". ასევე ბერძნულშიც ალფას და ბეტას შეერთებით მიღებულია სიტყვა „ალფაბეტი".

შემთხვევითი არ არის, რომ A ანბანის პირველი ასოა. ძველ ფინიკიაში სამი ათასი წლის წინათ მას „ალეფ" ეწოდებოდა, რაც ხარს ნიშნავდა. ის იწერებოდა, როგორც V, რაც ხარის რქების იდეოგრაფიული ნიშანია, ხოლო გასწვრივ მას დახრილი ხაზი მისდევდა. ბერძნებმა ეს ასო გადმოაბრუნეს. ასეა მიღებული დღევანდელი A. რა თქმა უნდა, ფინიკიელებისთვის ხარი ნიშნავდა საკვებს, სამუშაო ძალას, ფეხსაცმელს, ტანსაცმელს. საქონლის ჯოგი მათთვის დიდ სიმდიდრეს წარმოადგენდა. სწორედ ამიტომაა ხარი, ალეფი, ანუ A ანბანის პირველი ასო.

რა არის მეორე აუცილებელი პირობა ადამიანის სიცოცხლისათვის? თავშესაფარი. ხოლო B, ფინიკიურად „ბეთ", ნიშნავდა კარავს ან სახლს. იგი თავდაპირველად წარმოადგენდა პრიმიტიულ ოროთახიან აღმოსავლურ სახლს, რომელშიც ერთი ოთახი მამაკაცებისთვის იყო განკუთვნილი, მეორე კი - ქალებისათვის. ბეთ, ფინიკიური სახელწოდება B-სი, შემორჩენილია სიტყვაში „ბეთლემი"- საჭმლის სახლი.

ასო H ღობის სურათს ჰგავს. L-ს ფინიკიურად ერქვა „ლამედ" და ნიშნავდა მათრახს, რომლითაც აქლემს მიერეკებოდნენ. G კი თავიდან აქლემი უნდა ყოფილიყო მოღუნული კისრით. ბერძნულ ანბანში ამ ასოს ერქვა „გიმელ", აქედან წარმოიშვა G-ს ბერძნული სახელწოდება „გამა". თუმცა საფუძველი აქვს ინგლისურ სიტყვას camel.

ბევრი მეცნიერი თვლის, რომ V აღნიშნავდა საკიდს, Y- ხელს გამოწვდილი ცერით, Z- ხმალს და ფარს. ფინიკიური D- „დალეთ" აღებულია ეგვიპტური იეროგლიფიდან, რომელიც აღნიშნავდა კარს და წააგავდა კიდეც მას.

ფინიკიური T - „ტაუ" იყო ნიშანი, რომელიც გამოიყენებოდა ხარების დასადაღავად. O ადამიანის თვალს აღნიშნავდა. ზოგ ძველ ანბანში მას წერტილიც ჰქონდა ცენტრში. K- ფინიკიურად „კაფ" - ნიშნავდა ხელის გულს და თავდაპირველად ჰგავდა მას. I- ადამიანის თითი უნდა იყოს, Q კი მაიმუნი ჩამოშვებული კუდით.

ფინიკიელები დიდი მეზღვაურები იყვნენ. ზღვებს ესპანეთის სანაპირომდეც კი იკვლევდნენ. ასო M- „მემ" - ნიშნავდა წყალს და ზღვის ტალღებს ჰგავდა.

კიდევ ერთი უცნაური ფაქტი:

ანბანის ბოლო ასოა, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ ყოფილა. ძველ ბერძნულ ანბანში იგი მეექვსე ასო იყო. როდესაც ხელისუფლების სადავეები რომაელებმა იგდეს ხელთ, მათ Z საჭიროდ არ ჩათვალეს და ამოაგდეს ანბანიდან. შემდეგ, ისინი მიხვდნენ, რომ ეს ასო საჭირო იყო, მაგრამ ამ დროისათვის მას დაკარგული ჰქონდა მისი ძველი ადგილი და ამიტომ ბოლოში მოექცა.

ყველა ასოს ისტორია საიმედოდ ჯერ არ არის შესწავლილი. მაგრამ ერთი რამ ნათელია: ყველა მათგანი თავდაპირველად სურათი იყო, საბოლოოდ ისინი ფორმალიზებულნი იყვნენ ბერძნების და რომაელების მიერ.

ქართული ანბანის პირველი ასო „ანი", ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ფინიკიური ანბანის შესაბამისად, ხარის გამოსახულებაა. „ქართული „ანის" მრგვალი მოხაზულობა და კიდურებ-აწეული ზედაი განივი ხაზი სწორედ ხარის რქიანი თავის მოხაზულობას წარმოადგენს".- წერს ივ. ჯავახიშვილი „ქართულ პალეოგრაფიაში". ასო „ანის" მნიშვნელობის შესახებ საინტერესო შეხედულება გამოთქვა რ. პატარიძემ. მისი აზრით, ქართული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან" ეწოდა, რადგან იგი მთვარის ღვთაების იდეოგრამაა, ხოლო „ან" შუმერულად ცის ან მთვარის ღმერთის ნიშნავს. ცნობილია, რომ წარმართულ ხანაში მთვარესთან ერთად ქართველები მზეს და ვარსკვლავებს ეთაყვანებოდნენ. აქედან გამომდინარე, რ. პატარიძე ასკვნის, რომ ქართული ასომთავრული „დონი", წრეზე დასმული ჯვარი, მზის ღვთაების იდეოგრამაა. მზეს კი წარმართული ხანის ქართულში „დღე" ეწოდებოდა. დღე მზის მნიშვნელობით შემორჩენილია სიტყვებში: „დღეგრძელი-მზეგრძელი". მზე-ღმერთის სიმბოლო იყო თვალი, მისი წმინდა რიცხვი კი - ცხრა. დღემდე შემორჩენილია გამოთქმა „ცხრათვალა მზე".

ქართულ ასომთავრულ ანბანში მე-9 ასო „თანი" თვალის იდეოგრამაა.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ქართველები ეთაყვანებოდნენ ვარსკვლავებსაც. ქართული ასომთავრული „ვინი" ცისკრის ვარსკვლავის, ანუ ცის ღმერთის ასულის გამომხატველია.

ქართულ ანბანში ყველაზე საკრალური ნიშანია „ლას" ასო. იგი თაღოვანი კარის მსგავსია და ნიშნავს უხილავი ღმერთის სამყოფელს, ღვთის კარს, თავად ღმერთს.

ძველი ქართული ანბანის უკანასკნელი ასო იყო „ხარი". როგორც თვით სახელი მიგვანიშნებს, იგი ხარის ემბლემა იყო. ანბანის დასასრულის ნიშანი, დამამთავრებელი ასო იყო „ჯანი". ე. მაჭავარიანის თანახმად, ეს ასო იესო ქრისტეს ინიციალების და ასოების გრაფიკული შეერთების შედეგადაა მიღებული. თვით ასო „ჯანი" ჯვრის ერთ-ერთი გამოსახულებაა. „ჯანი" კი ჯვარცმული ქრისტეს გამომხატველია და ფონეტიკურადაც სიტყვა „ჯვარს" უკავშირდება.

ე. მაჭავარიანის აზრით, ქართულ ასოთა მოხაზულობა გეომეტრიულ ელემენტებს ეყრდნობა. ყველა ასო-ნიშანი ერთმანეთისაგან პრინციპულ დამოკიდებულებაში მყოფ ელემენტებად - ხაზებად, წრეებად და რკალებად იშლება. ასომთავრულის გრაფიკას საფუძვლად უდევს შემდეგი ცხრა ელემენტი: დიდი, საშუალო და პატარა წრე, დიდი, საშუალო და პატარა რკალი, დიდი, საშუალო და პატარა ხაზი. დანარჩენი ფორმები ამ ელემენტებისგანაა ნაწარმოები. ყველა ასოს მოხაზულობა უხილავი კვადრატის ფარგლებში თავსდება. ასოთა ერთი ნაწილი მთლიანად იკავებს კვადრატს, ნაწილი კი კვადრატის ერთ, მარცხენა ან მარჯვენა ნაწილშია მოთავსებული.

როგორც ვხედავთ, ქართული ანბანის წარმოშობის, ასოების იდეოგრაფიული მნიშვნელობისა და გრაფიკული სტრუქტურის შესახებ ენათმეცნიერებაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ერთი რამ კი ცხადია: ქართული ანბანი დღემდე შესანიშნავად ასრულებს თავის ფუნქციას და თავისი დახვეწილობით ხიბლავს ქართველებსა თუ უცხოელებს. იგი სამართლიანადაა მიჩნეული ერთ-ერთ იდეალურ ანბანად.

# „დედაენა" ეკრანზე



იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა" ყველა ქართველისათვის უძვირფასესი წიგნია. ის „ვეფხისტყაოსანთან", სულხან-საბას „სიტყვის კონისა" და ქართველ კლასიკოსთა ნაწარმოებებთან ერთად ჩვენი ერის უძვირფასეს საუნჯედ იქცა და არავის უკვირს, როცა „დედაენას" უხდიან იუბილეს, უდგამენ ძეგლს. თუმცა მაინც მოულოდნელი იყო, როდესაც გავიგეთ, რომ კინორეჟისორმა დათო ჯანელიძემ გადაიღო ვიდეოფილმი „დედაენის" მიხედვით. მოულოდნელი იყო, რადგან ძნელი წარმოსადგენია სახელმძღვანელოს ეკრანიზაცია. მაგრამ როცა უყურებ ამ ფილმს, ის ისევე უშუალოდ და ძალდაუტანებლად აღიქმება, როგორც თავად „დედაენა" და ეს არის ალბათ მისი უმთავრესი ღირსებაც.

ეკრანზე რიგ-რიგობით ჩნდებიან ულამაზესი ქართული ასოები, სიტყვები და შესაბამისი, ასევე ულამაზესი გამოსახულებები: ფოტო, ნახატი, ჰერბი ან ნატურმორტი. ეს არის ბავშვების მიერ აღქმული სამყარო, ისეთივე ლამაზი და საოცარი, როგორიც ჯადოსნური ზღაპრების სამყაროა.

განსაკუთრებულ უშუალობას ანიჭებს ფილმს ის, რომ ტექსტს ბავშვები კითხულობენ. თითქოს ვხედავთ კიდეც მათ გაბრწყინებულ სახეებს. მართალია, ზოგი სიტყვა იაკობ გოგებაშვილისეული ტექსტიდან თანამედროვე ბავშვისათვის მოძველებული და უცხოა, მაგრამ განა ყველა სიტყვა ნაცნობია, ვთქვათ, ხალხურ ლექსებში, რომლებსაც სწორედ ბავშვობიდან ვითვისებთ?!

კინომცოდნეების აზრით, დ. ჯანელიძის ფილმი ახალი სიტყვაა ქართული კინოს ისტორიაში. მას მრავალი ღირსება აქვს: განუწყვეტელი იმპროვიზაცია, იუმორი... (გ. გვახარია, „დედა ენა" – კინოს ენა", „სტუდია", 1.97).

პრაქტიკული თვალსაზრისითაც ეს ფილმი სასარგებლო იქნება ბავშვებისათვის, ვინც ანბანის სწავლას იწყებს და იმ უცხოელებისათვის, ვისაც ქართულის შესწავლა აქვს განზრახული. ვფიქრობთ, იგი ძვირფასი გახდება ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია „დედა ენა".

**ნინო ჭუმბურიძე**

# დიდი სიყვარულის ნაყოფი

*1989 წელს გამოქვეყნდა ლ. გოქსაძის, ნ. მამაცაშვილისა და რ. ბოლქვაძის ინგლისური ენის გრამატიკის სახელმძღვანელო (II ტ.), რომელზეც არაერთი თაობა აღიზარდა: ამჟამად მზადდება განახლებული გამოცემა. ავტორებმა წიგნის გაცნობა შესთავაზეს და შთაბეჭდილების გაზიარება სთხოვეს მაიკლ ბერმანს – საგანმანათლებლო პროექტების მენეჯერს ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების დარგში ანგლო-ევროპული მასშტაბით.*

*ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება აღნიშნულ სახელმძღვანელოზე მაიკლ ბერმანის აზრი, რომელიც ავტორებმა ახლახან მიიღეს ლონდონიდან.*

ეს მოკლე რეცენზია ეხება პროფ. ლილი გოქსაძისა და მისი თანაავტორების – ნანა მამაცაშვილისა და სალომე ბოლქვაძის მიერ 1989 წელს გამოცემულ თანამედროვე ინგლისური ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს.

მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე უცხოელებს ინგლისურ ენას ვასწავლი და ამ საქმეს მრავალი სახელმძღვანელო მივუძღვენი. მუშაობისას სხვა ავტორთა გრამატიკის წიგნებსაც გავეცანი, მაგრამ ინგლისელი ავტორების მიერ დაწერილი ბევრი გრამატიკის წიგნი ფერმკრთალდება პროფ. ლ. გოქსაძისა და მისი თანაავტორების წიგნთან შედარებით და მე გულწრფელად ვუწევ რეკომენდაციას აღნიშნულ სახელმძღვანელოს. ამ წიგნის შექმნისათვის ავტორებს ძალა და დრო არ დაუშურებიათ. ეს წიგნი დიდი სიყვარულის ნაყოფია და ფართო აღიარებას იმსახურებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია ის ნაწილი, სადაც აღწერილი და ახსნილია ზმნები, რომელთაც მოჰყვება ინფინიტივი და გერუნდი, რაც განსხვავებულ მნიშვნელობებს გვაძლევს. მე სხვა სახელმძღვანელოებში არ მინახავს ამ განსხვავებათა ასეთი ნათელი და საინტერესო ახსნა.

მე მწამს, რომ ეს წიგნი დიდხანს იქნება ფასდაუდებელი სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის.

ძალიან გულდასაწყვეტია, რომ ინგლისური ენის გრამატიკის ეს სახელმძღვანელო არ არის ხელმისაწვდომი სხვა ქვეყნებშიც.

**მაიკლ ბერმანი**
*24.4.98*

**შ**ვედეთში ერთთვიანი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდნენ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლები, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი მანანა ტაბიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ გვანცელაძე. ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ინფორმაცია მათი მივლინების მიზნებსა და შედეგებზე

# ქართველოლოგთა სიმპოზიუმი შვედეთში



მოხსენებას კითხულობს კ. ვამლინგი

**მანანა ტაბიძე:** როგორც ჟურნალის მკითხველებმა იციან, ბოლო ათი წლის განმავლობაში არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი მჭიდროდ თანამშრომლობს ლუნდის (შვედეთი) უნივერსიტეტის ენათმეცნიერებისა და ფონეტიკის დეპარტამენტთან. სადაც ქართველოლოგიასა და კავკასიოლოგიაში ნაყოფიერად მუშაობენ დოქტორი კარინა ვამლინგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატები - მანანა კობაიძე და რევაზ ჭანტურია. შარშან შვედეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაამტკიცა ამ ორი სამეცნიერო ორგანიზაციის ერთობლივი სამეცნიერო პროექტი „ენობრივი ვითარება საქართველოში". პროექტზე მუშაობს ჯგუფი კარინა ვამლინგის ხელმძღვანელობით - შიფტე შერი ამირპექმათი, მანანა კობაიძე, რევაზ ჭანტურია, მანანა ტაბიძე, თეიმურაზ გვანცელაძე და როსტომ ფარულიძე. ჩვენი ახლანდელი ვიზიტი მიზნად ისახავდა ჩვენ მიერ უკვე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენასა და შემდგომი მუშაობის კოორდინირებას. ამ მიზნით 16 აპრილს ლუნდის უნივერსიტეტში გაიმართა სიმპოზიუმი თემაზე „ენობრივი ვითარება საქართველოში". ეს სამეცნიერო ფორუმი არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა.

სიმპოზიუმი გახსნა კარინა ვამლინგმა, რომელმაც შესავალ სიტყვაში ისაუბრა იმ ერთობლივ მუშაობაზე, რასაც ბოლო ხანს ეწევიან ლუნდის უნივერსიტეტისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები.

რაც შეეხება სიმპოზიუმზე წაკითხულ მოხსენებებს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა მათგანი ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი იყო. ვინაიდან მათში უამრავი საკითხი ან პირველად იყო წამოჭრილი, ანდა მდიდარ ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით ახლებურად გახდათ გადაწყვეტილი მანამდე თითქოს შესწავლილი პრობლემები. რაც მთავარია, მოხსენებები ერთი საერთო გეგმის ნაწილები იყო და ავსებდა ერთმანეთს. ბუნებრივია, ჟურნალის მოცულობა საშუალებას არ იძლევა, უფრო ვრცლად ვისაუბროთ მოხსენებების შესახებ. მაგრამ ზოგადად შემდეგი შეიძლება ითქვას: საზოგადოება ძალზე დიდი ინტერესით შეეგება ყველა მოხსენებას. განსაკუთრებით კი დებულებებს იმის შესახებ, რომ ქართული ენა თავისი არსებობის მანძილზე არასოდეს ყოფილა სხვა ერების ჩაგვრის იარაღი, ვინაიდან იგი ხშირად თვითონ იჩაგრებოდა და იბრძოდა თავის გადასარჩენად. მეტიც, ქართული ენა ხელს უწყობდა იმ ხალხთა კულტურულ წინსვლას, რომელთაც ადრე დამწერლობა არ ჰქონიათ (აფხაზები, ოსები, ვაინახები, დაღესტნის ხალხები). ეს საკითხები უმდიდრეს დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით გაშუქდა ობიექტურობის სრული დაცვით, რაც განსაკუთრებით აღნიშნეს კიდევაც იქ დამსწრე ენათმეცნიერებმა და პოლიტოლოგებმა.

**თეიმურაზ გვანცელაძე:** მინდა აღვნიშნო ისიც, რომ შვეციაში მივლინების დროს გამოვლინდა საკმაოდ დიდი რაოდენობის ისეთი ახალი მასალა, რომელსაც, ჩვენი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს აფხაზეთის ეთნიკური ისტორიისათვის. ლუნდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული აღმოჩნდა შუა საუკუნეებში შედგენილი რუკები და ატლასები (დაახლოებით 30-მდე ერთეული), რომლებიც ძალზე საყურადღებოა ჩვენთვის საინტერესო საკითხისათვის. მაგრამ მათგან მაინც განსაკუთრებითაა გამოსაყოფი მერკატორის 1595 წლის ატლასი, მერკატორ-ჰონდიუსის 1633 წლის რუკა, დავიდ დე ვილჰელმის XVII საუკუნის, ფრედერიკ დე ვიტის 1671 წლისა და იოან იანსონის დაუთარიღებელი რუკები. მათზე ქალაქ ცხუმს სანატოპოლი (სევასტოპოლი, სებასტოპოლისი) ჰქვია, ხოლო სახელი აყვა (Acva), რომლითაც აფხაზურ ენაზე დღეს ქალაქი სოხუმი აღინიშნება, ამ რუკებზე ეწოდება არა ცხუმს, არამედ მდინარე ყუბანის აუზში, ჩრდილოეთ კავკასიაში გამოსახულ დასახლებულ პუნქტს. ამ მხრივ დასახელებული რუკების მონაცემები მთლიანად ემთხვევა ჩვენს მიერ შარშან მიკვლეულ ჯაკოპო გასტალდის 1561 წლის რუკის მონაცემებს, რომლის საფუძველზეც ჩვენ ვვარაუდობდით, რომ 1561 წლამდე მაინც აფხაზთა წინაპრების ძირითადი მასა ჯერ კიდევ არ ცხოვრობდა ამჟამინდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე და ქალაქ ცხუმს აფხაზურ ენაზე არ ერქვა აყვა. ლუნდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გამოვლენილმა ახალმა მასალამ ჩვენს აღრინდელ ვარაუდს ურყევი საბუთები შესძინა.

ამჟამად ვმუშაობ ჩამოტანილი მასალის ანალიზზე.

* * *

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P.10.02.C №6 სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე**)

**ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის** სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა

**მაია სახოკიას**

**დისერტაციის თემა:** დიაქრონიული ტიპოლოგია მორფოსინტაქსში ინდოევროპული ქართველური (სპარსული, სომხური, სანსკრიტი, რუსული, ლატვიური, ქართული).

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1998 წლის 22 აპრილს.**

**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის** სამეცნიერო ხარისხი მიანიჭა **ნინო დოხტურიშვილიძეს**

**დისერტაციის თემა:** „ესხალმუნთა გამოკრებული თარგმანება" და ძველი ქართული ლინგვისტური აზროვნების საკითხები

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1998 წლის 6 მაისს**

**ნინო შარაშენიძეს**

**დისერტაციის თემა:** პირველი სერიის მწკრივთა ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებების დათარიღებისათვის ქართულში

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1998 წლის 13 მაისს**

**მაია მელიქიძეს**

**დისერტაციის თემა:** ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის რიცხვიანი საშუალ ქართულში

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1998 წლის 13 მაისს.**

* * *

**1998 წლის 13–15 მაისს** გაიმართა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა **არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავს.** 5 სექციაში (ქართველურ-კავკასიურ ენათა სექცია, ქართული ლიტერატურისა და ფილოლოგიის სექცია, კლასიკური ფილოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის სექცია, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის სექცია, სლავური ენათმეცნიერებისა და რუსული ლიტერატურის სექცია) წაკითხული იქნა 100-ზე მეტი მოხსენება.

სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მოხსენებითი მასალები გამოქვეყნდა.

* * *

**1998 წლის 15 მაისს** გაიმართა ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის პედაგოგიური ინსტიტუტისა და ბ. ჯორბენაძის საზოგადოების ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა **რაფიელ ერისთავს.**

სესია გაიმართა სოფელ ქისტაურში, რ. ერისთავის მშობლიურ სოფელში, რ. ერისთავის სახელობის საშუალო სკოლის დარბაზში. რაფიელ ერისთავის ცხოვრებისა და მოღვაწეობის, მისი შემოქმედების სხვადასხვა საკითხებზე მოხსენებები წაიკითხეს პროფესორებმა **ი. მეგრელიძემ, გ. ჯავახიშვილმა, რ. ჭიკაძემ, ლ. მინაშვილმა, გ. ელანიძემ, თ. უთურგაიძემ, ლ. შალვაშვილმა, ა. ჭინჭარაულმა, ი. ქუშიკაშვილმა, ა. სპარსიშვილმა, გ. ცოცანიძემ, გ. გოგოლაშვილმა.** მოსმენილ იქნა **ლ. იორდანიშვილის** მოხსენება, რომელმაც ვერ შეძლო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მიღება; მოხსენება წაიკითხა საშუალო სკოლის პედაგოგმა **ანა ქისტაურმა**. კონფერენციაზე სიტყვები წარმოსთქვეს რ. ერისთავის სახლ-მუზეუმის დირექტორმა **ნატო ფშაველაშვილმა** და საშუალო სკოლის დირექტორმა **ნაზი თარალაშვილმა.**

კონფერენციის მასალები გამოქვეყნდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის ერთობლივი VI თემატური კონფერენცია, ქართველი კლასიკოსებისადმი მიძღვნილი (წინა კონფერენციები მიეძღვნა ი. გოგებაშვილს, ი. ჭავჭავაძეს, ა. წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, გ. ტაბიძეს). მომავალი ტრადიციული კონფერენცია (1999 წელს) მიეძღვნება ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

* * *

**1998 წლის 2–3 აპრილს** გაიმართა ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თსუ ფილიალების I სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა **ქართული უნივერსიტეტის დაარსების 80 წლისთავს.** პლენარული სხდომის შემდეგ მუშაობდა შემდეგი სექციები: ქართველურ-კავკასიურ ენათა სექცია; კლასიკური ფილოლოგიის სექცია; ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის სექცია; სლავური ენების და რუსული ლიტერატურის სექცია.

სამეცნიერო სესიის მუშაობის გეგმა და მასალები გამოქვეყნდება.

* * *

**არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავს** მიეძღვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო სესია „არნოლდ ჩიქობავას საკითხავები-IX", რომელიც გაიმართა **1998 წლის 14–17 აპრილს.**

სესიაზე წაკითხული იქნა 40-ზე მეტი სამეცნიერო მოხსენება.

მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები გამოქვეყნდა.

* * *

**1998 წლის 1–3 მაისს** გაიმართა ა. წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სიმპოზიუმი **„ქუთაისური საუბრები–V"**, რომელიც მიეძღვნა **არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავს.** სიმპოზიუმის ძირითადი თემა იყო „სამეტყველო კოდების შერევისა და მოზაიკური კულტურის საკითხები". მოსმენილი იქნა 70-მდე მოხსენება ქართველური ენათმეცნიერების, ეთნოლოგიისა და ფოლკლორის საკითხებზე.

სიმპოზიუმის მუშაობის გეგმა და მასალები გამოქვეყნდება.

## ლექსი და ისტორია

ნომადი ბართაია

# „ისე თეთრი ხარ ქალაო"...

ვის არ სმენია ერთსტროფიანი ქართული ხალხური ლექსი და ვინ არ დამტკბარა თუშურ გარმონზე პანგებადქცეული მისი სტრიქონებით:

„ისე თეთრი ხარ ქალაო,
როგორც საყდარში კირიო,
ლამ-ლამ რომ მომაგონდები,
წამოვდგები და ვტირიო".

ეს ლექსი, გარდა იმისა, რომ სასიამოვნო ემოციურ და ესთეტიკურ განცდას აღძრავს ჩვენში, შესაძლოა დატვირთული იყოს ერთი ტრაგიკული მოვლენით ჩვენი ერის წარსულიდან და მის დაბადებას კონკრეტული ისტორიული სინამდვილე უდევს საფუძვლად: გასულ საუკუნეში ქართული ეკლესია-მონასტრების კირით შეთეთრება.

ერთმორწმუნე მართლმადიდებლურმა რუსეთმა, გარდა იმისა, რომ დაგვირღვია მეგობრული ხელშეკრულებით დადებული ყველა პირობა, მიზნად დაისახა ჩვენი ერის გადაშენება და სხვა მრავალ საავესთან ერთად, ხელი მაჰყო მისი კულტურული წარსულის წაშლას - უნიკალური ფრესკებით მოხატული ქართული ქრისტიანული სალოცავების კედლების კირით შეთეთრებას.

ხოლო შემდეგ მოხდა ისე, რომ ქართველმა კაცმა პოეტურად გააცნობიერა საყდართა კედლების სითეთრე და ასე დაიბადა ეს სტრიქონებიც:

„ისე თეთრი ხარ ქალაო,
როგორც საყდარში კირიო"-

საბედნიეროდ ამ ბარბაროსულ ქმედებას, მიმართულს არა მხოლოდ ქართული, არამედ საერთოდ ქრისტიანული და საკაცობრიო კულტურის მიმართ, საბოლოოდ აღსრულება არ ეწერა.

დიახ, არ გამქრალა ერთი ხელის მოსმით ჩვენი კულტურული წარსული. სამიათასხუთასწლიანი ჩვენი ქარცეცხლგამოვლილი ისტორია გაქრა მხოლოდ ის თეთრი ფენა სალებავისა, რომლითაც სურდათ დაეფარათ იგი.

სამაგიეროდ დაგვრჩა გულისგულამდე ჩამწვდომი პანგებადქცეული უღამაზესი ერთსტროფიანი სატრფიალო ლექსი.

## მოსწრებული სიტყვა

### კინტოს პასუხი



ერთი კინტო უნებურად ვიღაც კაცს დაეჯახა. იმ კაცმა კინტო გამოლანძღა. კინტომ ჰკითხა:

- ძმობილო, ვინ არის შენი უფროსი?

- ჩემი თავის უფროსი მე ვარო, - უპასუხა კაცმა.

- ვაა, როგორი არა გრცხვენია, მშვენიერი კაცი ხარ და მაგისთანა სულელი უფროსი გყოლიაო,- უთხრა კინტომ.

### საზამთროს ხმა



კინტო საზამთროს ჰყიდდა. მოვიდა ერთი კაცი, საზამთრო ხელში დაიჭირა და გასინჯა.

- რატომ ხმა არა აქვსო?- ჰკითხა კინტოს.

- წუხელ ქორწილში იყო, ბევრი სიმღერის გამო ხმა წასვლიაო,- უპასუხა მყიდველს.

### წინწკლიანი ქალიშვილი



ერთი კოხტა ყმაწვილი მივიდა მდიდარ კაცთან და უთხრა:- თქვენი ქალი მომწონს, თუ თქვენი ნება იქნება, ცოლად შევირთავო.

- ჩემი ქალი მდიდრულ ცხოვრებას არის დაჩვეული და შენ რა გაქვს შემოსავალიო?

- სამასი თუმანი წლიურადაო,- უთხრა ყმაწვილმა.

- ჩემს ქალს სამასი თუმანი ცხვირსახოცის ფულადაც არ ეყოფაო.

- თუ მაგისთანა წინწკლიანი თქვენი ქალი, რაღად მინდაო- უთხრა ბიჭმა და გაშორდა.

### „ცოცხალი" ტყუილი

ორი ახალგაზრდა ერთმანეთს ეტრაბახებოდა: ერთს ეთქვა:



- პაპაჩემს ისეთი დიდი სარდაფი ჰქონდა, კარიდან ჩასული ყმაწვილი სანამ ბოლოში მივიდოდა, თმა-წვერი გაუთეთრდებოდაო.

მეორემ თქვა:- პაპაჩემს ერთი დიდი ჯოხი ჰქონდა, როცა მოიღრუბლებოდა, იმ ჯოხის თავზე ჩვრებს მოაბამდა, მაღლა აიწევდა, გაქნევ-გამოაქნევდა, ღრუბლებს გაჰფანტავდა და მზე ისევ გამოჩნდებოდაო.

- მერე და სად ინახავდა პაპაშენი ამ სიგრძე ჯოხსაო? - ჰკითხა პირველმა.

- პაპაშენის სარდაფშიო,- უპასუხა მეორემ.

### კბილების ამოღება



ერთ კაცს კბილი ასტკივდა. მივიდა ექიმთან. ექიმმა კბილი ამოუღო და გასამრჯელოდ ასი მანეთი გამოართვა. მეორედ კიდევ ასტკივდა კბილი. ახლა დალაქთან წავიდა. დალაქმა ამოუღო კბილი და გასამრჯელოდ ორი შაური გამოართვა.

ამ კაცმა იფიქრა, იაფად იღებსო, ადგა და ყველა კბილი ამოაღებინა.

### ჩემი ყანისკენ იყურებოდაო



ერთ კაცს წყალგაღმა ყანა ჰქონდა და გამოღმა სხვისი ხბო იდგა. ამ კაცმა ეს ხბო მოკლა. ჰკითხეს:

- რათ მოკალიო.

- ჩემი ყანისკენ იყურებოდაო.

პეტრე უმიკაშვილის მასალებიდან



ილუსტრაცია
ალექსანდრე ჭავჭავაძის
ლექსისა „გოგჩა“

მხატვარი
გია ლაშხი

